წელიწადი მეორე — ფასი 7 კაპ. — სამშაბათი, 2 მარიამობისთვე 1916 წ. — № 77

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ... კრონიკაზე—10 ... დებულ განცხადება ... კონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 4 მ.; 20×2 ღირს მ., 25×2 ღირს 7 მ. 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღ. 1 მ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი
წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.
ფასი: **უპრემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 40 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.
**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა აუწყებს საზოგადოებას, რომ 3 მარიამობისთვეს ბანკის იურისკონსულტის
**თ-დ მიხეილ ნიკოლოზის ძის**
**ვეზირიშვილის**
სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება პანაშვიდი, ბანკის შენობაში, ფრეილინის ქუჩაზე № 2.
(1-201-1)

**ახალი მელანი**
**კოტე ონიკაშვილისა**
**დამზადებ მელანი და ვყიდი შემდეგს ფასებში**
ვინც ორ თუმანზე მეტს გამოიწერს შუშით (ფლაკონით) ეღირება: გირვანქა—1 მ., ½ გირვანქა—50 კაპ. ¼ გირვანქა—30 კაპ.
ვისაც ფუთობით ჰსურს გაიწეროს უფლაკონოდ ერთი ფუთი ღირს 35 მან.
გასაგზავნს ფასს ნახევარს ჩვენ ვიხდით. ფასდადებით მელანი გაეგზავნება, ვინც მესამედს ფასს წინადვე გამოგვიგზავნის.
**მსურველს მივაწვდი ჩემის მელნის ნიმუშს**
**მისამართი:** ქ. თელავი, კოტე ონიკაშვილი.

**სავაჭრო სახლი**
**„ძმ. სესიევები და ამხ.“**
(ვაგზლის ქ. № 6)
ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ **პირველ ივნისიდან** ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება
**ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო**

ექიმი
**გ. დ. წინამძღვრიშვილი**
უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
**ახალი აფთიაქი**
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი-დოსტაქარი
**გ. მ. მუხაძე**
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოზის ძე
**კალანდარიშვილი**
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს თიბათვის 15-დან **იღებს მანგლისში**
კორპუსის ბანაკში

**ვამზადებთ პიროგით**
პრაპორშჩიკთა სკოლისათვის. მეცადინეობა დაიწყო. მსურველთა მიღება გრძელდება. პირადათ მოლაპარაკება ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე.
**მისამართი:** მოსკოვის ქუჩა, № 24. ბინა 1. (თ-128-10)

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა
ექიმი
**ა. დ. შაჰბაზიანცი**
ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

ექიმი
**გ. ი. ვაჩნაძე**
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

**ექიმი მ. გ. ვეფხვაძე**
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

დ. ზესტაფონში
**ექიმი**
**დ. კ. მაჭავარიანი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

## თბილისი, 2 მარიამობისთვე.

**საქონლის რეკვიზიცია.** ვიდრე საშინელი 15 მარიამობისთვე დადგებოდეს და სოფლის ვაჟკაცობა მინდორში დაუბინავებელ ჭირნახულს, ხოლო ოჯახში თავის უმწეო ცოლშვილს გამოეთხოვებოდეს, სოფლის მუშა ხალხი თვით ესწრება და საკუთარის თვალით ხედავს, თუ როგორ ირღვევა ოჯახის კერა და როგორ შეუძლებელი ხდება მის განკარგულებაში დარჩენილი რაღაც ორიოდე კვირა გამოიყენოს თავის ოჯახის სასარგებლოდ და ჭირნახულის მოსაწევად.

სოფლის მეურნეს თავისი საუკეთესო მეგობარი—ლაბა, მთავრობის განკარგულების ძალით, ხელიდან მიუდის და შინ ცარიელი რჩება, მარტოხელა. რაც წინა რეკვიზიციებს გადაურჩა, იმას დღეს ერეკებიან. ხარი, კამეჩი, ცხენი, ეს ყანის მუშაობაში აუცილებელი საჭირო პირუტყვები, ამ გახურებულ მუშაობის დროს სოფელს ეკარგება. საქართველოს ყოველს კუთხიდან მოდის საჩივარი, ყოველის მხრიდან მოისმის მწარე, ნაღვლიანი ხმა სასომიხდილი ხალხისა, რომელსაც მსხვერპლი მსხვერპლზე გამოაქვს, იძლევა ყველაფერს რაც აბადია და რასაც სთხოვენ,

ასამხედრებელი კიდევ ისაა, რომ გლეხი იძულებული ხდება ხშირად თავის საქონელი ამ სიცხე-პაპანაქებაში 30—40 ვერსის სიშორეზე გარეკოს სადმე ცენტრალ თავმოსაყრელ ადგილას, უმეტესად სამაზრო ქალაქში, სადაც შეიძლება ჩამორეკილი საქონლიდან ზოგი დაუბრუნონ კიდეც და უკან გაატანონ. სათანადო პირებისაგან ამ საქონლის შერჩევაში და მისვლა-მოსვლაში გლეხს უცდება ძვირფასი სამუშაო დღეები, რომელნიც, ვინ იცის, სიცოცხლის რამდენ დღეს შემატებდნენ ხშირად ერთი მუშა ხელის ამარა დარჩენილ ოჯახს. სამწუხაროა, რომ საზოგადოებასა და ხალხს სრულებით ანგარიშს არ უწევენ. არავინ ზრუნავს სიფრთხილით მოეკიდოს იმ ხალხს, რომელსაც შინ ცოლშვილის საზრდოც აქვს მოსაწევი და გარედ კიდევ ბრძოლის ველზე მტერი ჰყავს მოსაგერებელი. ასეთ შემთხვევაში, მთავრობას უნდა ზომები მიეღო, რომ ყოველ სამამასახლისოში დაენიშნა საკრებულო პუნქტები; გლეხ შორს წასვლა არ დასჭირდებოდა და თავის თავზე უბედურების დატეხასაც უფრო ადრეც გაიგებდა.

ამ ჩვენს დალოცვილს ქვეყანაში-კი ხალხის უკიდურესი გამოყენების ჟინი და მადა დიდია, ხოლო ხალხისთვის ზრუნვა არავის აწუხებს და მისთვის სამაგიეროს მიზღვევაზე თავს არავინ იტკივებს. რაღა თქმა უნდა რომ ყველაფერს საზღვარი აქვს; ხალხის დოვლათი და შეძლება და ისიც ღარიბი ხალხისა მალე გამოიფიტება, მისი სამუშაო ენერგიაც მალე დაიშრიტება. ასეთ პირობებში უბედურება ხალხს ერთბაშად მოევლინება და მაშინ პალიატიურის ზომით ვერავითარ შველას ვერავინ გაუწევს. ცოტა ხალხზე ფიქრია საჭირო და სადაც შესაძლებელი იყოს ყელში დანა არ დავაჭიროთ, ნულა დავაჭერთ. ხალხი რომ ყველაფერს იძლევა, ჩვენც ვალდებული ვართ მისთვის ცოტა მაინც ვიზრუნოთ.

რომ აქაური მეურნეობისთვის ყური გვეთხოვა და ხალხის გასაჭირი გულთან ახლოს მიგვეტანა, რეკვიზიციის მოხდენა შეიძლება შემოდგომამდე გადადებულიყო და ამით სოფლის ხალხსაც მდგომარეობას რამოდენიმედ მაინც შეუმსუბუქებდით.

## ქართული პრესა

**ქართველ გრიგორიანთა საკითხი.**

თბილისის გუბერნატორმა ნება დართო გამოსცენ ქართულ ენაზე სომხური გაზეთი „სომეხთა ცხოვრება“. დიდი ხანია დადიოდა ხმა ამ გაზეთის გამოცემის შესახებ და ახლა, როგორც სჩანს, სიტყვა საქმედ ქცეულა, ვინაიდგან გაზეთის გამომცემლები არ დააყოვნებენ მის ბეჭდვასაც!

თუ დაგვიჯერებენ ჩვენი მეზობლები და აგრეთვე ყველა ჯურის ქართველი „სოციალისტები“, გულწრფელად მოვახსენებთ, რომ ჩვენ არა გვშურს სომხის ერის გაძლიერება და აღორძინება, რომელი მხრითაც უნდა იყოს: გონებრივად, ზნეობრივად, პოლიტიკურათა, თუ ეკონომიურად, მაგრამ გული გვტკივა ხოლმე, როცა საქართველოში, **ქართველი გრიგორიანებით** დასახლებულ მიწა-ადგილზე სომხის მოღვაწეები ცდილობენ აწარმოვონ თავისი პოლიტიკა და გაასომხონ ისინი, რომელთაც სომხისა არა სცხიათ-რა: არც სახით (ტიპით), არც ზნით, არც ჩვეულებით, არც ხასიათით, არც ენით, არც ისტორიული ტრადიციით, გარდა ბედ-უკუღმართ სარწმუნოებისა, რომელი სარწმუნოებაც, კარგად ვიცით, რა გზითაც და რა საშუალებითაც ვრცელდებოდა საქართველოში.

მართალია, სომხის გაზეთები (რუსულსა და სომხურ ენაზე რომ იბეჭდება საქართველოშივე) მთელის თავისი აღშფოთებით გაიძახიან, რომ „არ არიან ქართველი გრიგორიანები, საქართველოში ყველა გრიგორიანი **ტომით** სომეხია და, მაშასადამე, ქართველების სიტყვა ზღაპრად უნდა ჩაითვალოს“-ო, მაგრამ ეს ყვირილია მხოლოდ დაბრმავებული სომხის შოვინისტებისა, ეს გულისთქმაა მხოლოდ გადიდგულებულ სომხის ბურჟუაზიისა და პლუტოკრატიისა.

ესენი კარგად ხედავენ, რომ ქართველები მეტად უზრუნველი ხალხი ვართ და ვიდრე ჩვენ კეფას მოვიფხანდეთ და შეუძნებელ **ქართველ გრიგორიანებს** შევასმენდეთ, რომ **რჯული სხვაა და ეროვნება კიდევ სხვა**, სომხის პატრიოტები თავის საქმეს უკვე დაასრულებენ და ქართველ გრიგორიანებით დასახლებულ ქართლ-კახეთის სოფლებს ისეთის შოვინიზმით გაუღენთავენ, რომ თვით ყარაბაღელ სომხებს დაამჯობინებენ!..

ამ იმედით, ამ აზრით აარსებენ კიდეც სომხურ გაზეთს ქართულ ენაზე.

მათ საკმაოდ არ მიაჩნიათ ის გარემოება, რომ მთელი საქართველოს ჩარჩების ხელშია, საკმარისად არ მიაჩნიათ, რომ ქართლ-კახელი გლეხი ყურ-მოჭრილი ყმაა რომელიმე კარაპეტასი ან ავეტიკასი და მათი ვახშიდან ველარ ამოსულა, მათ სურთ რომ ქართველი გრიგორიანები მოსწყვიტონ თავის მშობელ დედას და ძმათა შორის ისეთი უფსკრული გაავლონ, სადაც გადაიჩეხება კეთილდღეობა ქართლ-კახელისა...

დიაღ, გვწყინს, მაგრამ არ გვიკვირს სომხების ასეთი საქციელი! თავის მიწა-წყლიდან საუკუნოებით დევნილი სომხობა სხვის მიწა-წყალზე იკალათებს და ვანთან დამარხული სასომხეთი, თბილისთან უნდა აღადგინონ!— ეს ბუნებრივი წადილია ყველა უსახლკარო და ბოგანო ხალხისა!

მაგრამ განა ჩვენ კი გულ-ხელ დაკრებილი უნდა ვისხდეთ და ჩვენ მიწა-წყალში, ჩვენ ქვეყანაში, ჩვენს ძმათა შორის თავზე ნაცარი წავიყაროთ?

ეს ხომ ქართველი ერის დაღუპვა იქნება, ეს ხომ საქართველოს მოსპობას უდრის!..

ამიტომ ჩვენც ხელი უნდა გავანძრიოთ და კულტურულ საშუალებას კულტურული საშუალება უნდა მივაგებოთ...

**ჩვენც უნდა დავაარსოთ სასოფლო, ნამდვილი სახალხო, ყოველ-დღიური გაზეთი**, ისეთი გაზეთი კი არა, როგორებიც არის დღევანდელი ჩვენი გაზეთები,—მყვირალანი, ვარსკვლავთ—მრიცხველნი, მეოცნებენი, ერთმანეთის მჭამელნი, უქნარნი და უზრუნველნი!..

ჩვენ უნდა დავაარსოთ სავაჭრო-სამრეწველო-სამეურნეო გაზეთი ისტორიულ-ეთნოგრაფიულის განყოფილებით, **გლეხურის ჰანგის, გლეხურის კილოსი, იაფ-ფასიანი, ან და უფასოდ დასარიგებელი.**

თუ გაზეთ „სომეხთა ცხოვრება“ ქართველების გასომხებას მოახერხებს, ჩვენ რაღა ღმერთი გაგვიწყრება, რომ ქართველ გლეხს ვერ შევაგნებინოთ თავისი ვინაობა, თავისი დანიშნულება. ვერ შევაყვაროთ მამაპაპის სისხლით მორწყული მამული და ვერ შევაგნებინოთ თავისი პირადი სარგებლობა?!

კეთილშობილურ იარაღს კეთილშობილური იარაღივე უნდა დავახვედროთ და კეთილშობილური აზრები, სიტყვა საქმედ ვაქციოთ.

ღვთის წინაშე ერთი უპირატესობა კი აქვთ სომხებს ჩვენზე.

თითოეული სომეხი, ბურჟუა იქნება იგი თუ „სოციალისტი“, მზადაა ყოველი წვლილი გაიღოს „სომხური საქმისათვის“ და რომელიმე მანთაშევს ისე გამოაღებინებენ ასი ათასებს, რომ ჩვენ თვალის დახამხამებასაც ვერ მოვასწრებთ...

ქართველ „ბურჟუასა“, თუ „სოციალისტს“ კი—ერთმანეთის ჭამის მეტი არა ეხერხებათ-რა და „ქართული საქმე“ შეუწირავთ „მსოფლიოს აყვავებისათვის“,—პირველს იმიტომ, რომ ჯერ თვალი და გული არ გასძღომია, ხოლო მეორეს იმიტომ, რომ დღევანდელ დუხჭირ ცხოვრებით გაოგნებული „ოცნების სამეფოში“ გადაფრინდეს...

ასე გაგვლარა უკანასკნელი ასი წლის ცხოვრებამ?

დრო კია გონს მოვიდეთ და ჩვენ თავს მოვუაროთ, ვიდრე სულმთლად არ გავნადგურებულვართ.

დრო არის ჩვენც შევქმნათ ისეთი ეროვნული თანხა, რომელიც მოხმარდება სოფლად სწავლა-ცოდნისა და განათლების შეტანას!

ბრძოლა კულტურულ ნიადაგზე კეთილ-შობილური საქმეა და გამარჯვებულიც ის დარჩება, ვისაც მეტი ისტორიული საბუთი და მეტი მორალური ძალა აქვს სულისა...

ქართველებო, მიიხედ-მოიხედეთ თქვენს გარშემო და ნულარ იქნებით მცონარენი!!

## ცოტა რამ ფინეთზე

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ერის ავი თუ კარგი ზნე ჩვეულებანი და, საზოგადოდ, მორალური თვისებანი, რომლითაც დაჯილდოვებულია ესა თუ ის ერი, უეჭველი მაჩვენებელია მისი, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, **ზნეობრივი კულტუროსნობისა.** ზნეობრივი კულტუროსნობისა-მეთქი ვსთქვი, იმიტომ, რომ ერის კულტურულად დაწინაურება, საზოგადოდ, სრულიადაც არ ნიშნავს ზნეობრივად დაწინაურებას!.. ამის მაგალითია თვით კულტუროსანი ევროპა... განა შეიძლება ითქვას, რომ სადაც მეტი კულტურაა, იქ მეტი ზნეობრიობაა?!. რასაკვირველია არა!.. ისიც მართალი და უცილობელი ჭეშმარიტებაა, რომ კარგი სახელმწიფო წეს-წყობილება ხელს უწყობს, როგორც პიროვნების, ისე მთელი ერის ზნეობრივ აღზრდას, მაგრამ, როგორც ეტყობა, მარტო ეს გარემოება საკმარისი არ არის ერის აღზრდის ღირებულების წარმოსადგენად და დასაფასებლად.

თუ ჩვენ აღტაცებაში მოვყევართ და ქება-დიდებას ვასხამთ ერთ პიროვნებას, რომელიც გონებრივ განვითარებასთან ერთად, უმაღლესად ზნეობრივი და პატიოსანია, მაშინ რა დიდებული და სახიამოვნო სანახავი უნდა იყოს მთელი ერი, როგორც კრებული ჩვეულებრივ ადამიანთა ზნეობრიობაზე მაღლა ასული?!.

პატივცემულნო მკითხველნო, განა გულს არ გაგინათლებთ და უმაღლეს ზნეობრივ კმაყოფილებას არ გაგრძნობინებთ, როდესაც ასეთ დიდებულ სანახაობას იხილავთ?!. რანაირი პიროვნებაც უნდა იყოს, არ შეიძლება მეხლი არ მოიყაროს და პატივი არა სცეს ერის ასეთ სათაყვანო თვისებებს!..

ასეთი დიდებული და მართლაც საშვალითო რამ ვიხილე ფინეთის ერში. ბევრი კეთილი გამეგონა ფინებზე, მაგრამ არ მაკვირვებდა, რადგან ზოგი გადაჭარბებული მეგონა და ზოგიც ისეთი, რაც ევროპაში უკვე განხორციელებულია. დღეს, როდესაც უკვე საკმაო დრო გავატარე ფინეთში, თამამად შემიძლიან ვსთქვა, რომ ის ჭეშმარიტი და კეთილი ზნე, რომელიც ფინეთშია გავრცელებული, არა თუ დაქვეითებულ აზიელ ერებს, თვით უმაღლეს კულტუროსან ევროპიელთაც მოენატრებათ!.. არა მგონია ამ შედარებაში ვსცდებოდე, რადგან ევროპაში მიცხოვრია და ის, რაც ფინეთში ვიხილე და ვხედავ, იქ არ მინახავს! ამ შედარების დროს მხედველობაში არა მაქვს მხოლოდ ჩრდილოეთის პატარა სახელმწიფონი, როგორც მაგალითად: სვერიგეთი, ნორვეგეთი და დანეთი, სადაც, როგორც ამბობენ, განხორციელებულია ისეთი წეს-რიგი და ადამიანისადმი ნდობა, როგორსაც ფინეთში ვხედავთ. სამწუხაროდ, ჩვენ, ქართველები, თითქმის სრულიად არ ვიცნობთ იმ ზემოდასახელებულ პატარა კულტუროსან ერებს, რომელნიც ესოდენ ორიგინალ და წასაბაძ კულტურის შემქმნელნი არიან.

ეხლა ავიღოთ თვით ფინი. იგი არის მეტად მართლის მთქმელი და პირდაპირი; დიდად პატივისმცემელი საკუთარ კანონებისა და მტკიცე ამსრულებელი; ქურდობა ფინისთვის დიდი სირცხვილი და დანაშაულია; სხვის საკუთრების პატივისმცემელია და სიხარბე სრულიად არ ეტყობა. როდესაც ფინებს ეცნობით, ერთი პირი თითქოს შეგზარდებათ, რადგან მეტად ძმიმენი და ამასთან ულამაზონი არიან, მაგრამ მათი ზნეობრივი და, თითქმის, ბავშური სიფაქიზე დიდ პატივისცემას და სიყვარულს გაგრძნობინებთ.

კერძო მაგალითები რო მოვიყვანო მათ დასახასიათებლად, ძალიან შორს წაგვიყვანს, რადგან მაგალითი ბევრი ვიცი და, ამასთან ერთად, შეიძლება მკითხველმა ჩემ სუბიექტიურ შთაბეჭდილებად და შემთხვევითი მოვლენად ჩასთვალოს. ამიტომ აქ მოვიყვან ორ მაგალითს მხოლოდ საზოგადო ხასიათისას: ვისაც ფინეთში უმოგზაურნია, უეჭველად მიაქცევდა ყურ დღებას შემდეგ გარემოებას: მთელ მატარებელში, რომელიც 10 ან მეტი ვაგონისაგან შესდგება, მხოლოდ ერთი კონდუქტორია! წარმოიდგინეთ, ბატონებო, რომ ეს ერთი ადამიანი არის კონდუქტორიც, ობერიც და კონტროლიორიც! ერთი ადამიანი მატარებელს უძღვება, მაშინ როდესაც ჩვენში ათ ვაგონზე 10 კონდუქტორია, ერთი ობერი და ლეგიონი კონტროლიორები!..

ამის მსგავს წეს-რიგს ევროპაშიც შეხვდებით, მაგრამ იქ ის უკონტროლობა და მგზავრებზე დანდობა ისე არ არის, როგორც ფინეთში. ფინეთში არავითარი კონტროლი არ არის, არც მატარებელში და არც სადგურიდან გამოსვლის დროს, როგორც, მაგალითად, ბელგიაშია. ფინეთში, მგზავრებს სრულიად ენდობიან და თუ ხანდიხან უნდობლობას იჩენენ, ისიც რუსეთიდან მომავლებისადმი. ნურავის დარჩება საწყენად, თუ ჩემს თავს ნებას მივცემ და ვიტყვი, რომ რასაც რუსეთში აღზრდილი ზოგიერთი ინტელიგენტი იკადრებს, აქ იმას უბრალო მუშაც კი არ იკადრებს!.. ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენსა და მათ აღზრდას შორის უფსკრულია!. ეს ცხადია და ნათელი იმისთვის მაინც, ვისაც წარმოდგენა აქვს და იცის ფინელთა ყოფა-ცხოვრება. მკითხველიც დამეთანხმება, რომ ასეთი ნდობა ხალხისადმი და წეს-რიგი მატარებელთა მიმოსვლისა მთელს დიდ სამთავროში, პირდაპირი მაჩვენებელია ფინელ ერის მაღალ-ზნეობრიობისა.

ეხლა ავიღოთ მეორე მაგალითი ისევე საზოგადო ხასიათისა: ქ. აბოში **ტრამვაის ვაგონებზე კონდუქტორი არ არის**, არის მხოლოდ ვატმანი. მკითხველი უეჭველად იკითხავს, ბილეთებს ვინღა ჰყიდისო?!. წარმოიდგინეთ, რომ არავინ!.. ვაგონს აქვს ფულის ჩასაგდები ყულაბა და ყველა მგზავრი თვითონ აგდებს ხვედრ ფულს! თუ ფულის დახურდავება იქნა საჭირო, მაშინ ვატმანი უხურდავებს, რაც ხდება მეტად მარტივად და სწრაფად.

წარმოიდგინეთ, მკითხველო, რომ ასეთი წესი გატარებულია მეტად ფართოდ ფინეთის ცხოვრებაში: სასადილოებში, სავაჭროებში და მრავალ საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებებში. ყოველგან ნდობა, ჩრდილობა, ზომიერი, ზედმეტი თანამდებობის მოსპობა და პირდაპირობა, აი რას ამჩნევთ აქაურ წეს-წყობილებას!

ეხლა, ჩემო მკითხველო, რას იტყვით ამის შემდეგ, ბევრი სიკეთე აკლია თუ არა ჩვენ, დიდებულ წარსულის მქონე და მრავალტანჯულ ქართველ ერს, რო დადგეს ერად სხვა ერთა შორის??. ოლონდაც ბევრი აკლია...—ამიტომ გვმართებს ჩვენ, ფინელთა მსგავსად, დინჯი და გამუდმებული შრომა მშობელ ერის წინ წასაწევად, თორემ ვერაფერი ბედენა იქნება, თუ მუდამჟამს ჩვენ ჩამორჩენილ მეზობლებს მივსდიეთ კუდში! შორეულს, შორეულს ჩრდილოეთს მივაპყრათ ჩვენი თვალები და მოვსძებნოთ ნათელი ვარსკვლავები!.. ყვავს არ ჰქონდა, ბუს გაჰქონდაო, ისეა ჩვენი საქმეც, მათ რა აქვთ, ჩვენ რა უნდა მოგვცენ?!.

დ. ჩიქოვანი.

ჰელსინგფორსი
4 მარიამობისთვე.

## ეროვნული ვითარება

**პოლონეთის დედა-ქალაქში** უკვე დასრულდა საქალაქო არჩევნები. გაზეთი „ნოვოე ვრემია"-ს აზრით, ახალი ქალაქის სამმართველო იქნება არა მარტო სამეურნეოს, არამედ მთელი პოლონური ერის პოლიტიკურ საქმეებსაც. რუსეთს მოუხდება ახალ მომქმედ ძალასთან ანგარიშის გაწევა, ვინაიდან მისი ხმა მთელ პოლონეთის ხმად იქნება აღიარებული.

ახალი საქალაქო მმართველობა შედგენილია თანახმად გერმანელების სურვილისა. გერმანელებმა პოლონეთში ერთი წლის ბატონობის შემდეგ კარგად გაარჩიეს, თუ რომელი პოლიტიკური მიმართულებანი ყველაზე უფრო ემტრობოდენ რუსეთს და კიდეც შეეცადნენ, რომ სწორეთ მათ გაემარჯვებიათ არჩევნებში.

არჩევნების დაბოლოს ხმოსანთა შემადგენლობა პარტიათა მიხედვით ასეთია:

1) კავშირი პოლონეთის ხელმწიფოებრივობისა—11 კაცი.
2) ნაროდოვას დემოკრატია—7 კაცი.
3) ქრისტიანული დემოკრატია—5 კაცი.
4) პოლონური სოციალისტური პარტია—4 კაცი.
5) ებრაელი ნაციონალისტები—4 კაცი.
6) ებრაელი ასიმილიატორები—5 კაცი.
7) მუშათა ეროვნული კავშირი—2 კაცი.
8) პოლონეთის პროგრესისტული კავშირი—2 კაცი.
9) რეალისტები—2 კაცი.
10) ეროვნული შრომის ჯგუფი—1 კაცი.
11) ნაციონალ-რადიკალები—2 კაცი.
12) პოლონეთის პროგრესიული პარტია—1 კაცი.
13) მამულისმოყვარეთა კავშირი—1 კაცი.
14) სოციალ-დემოკრატია—1 კაცი.
15) ნაციონალი პარტია—1 კაცი.

აქ მოყვანილ სიაში მხოლოდ ორი პარტია თუ ჩაითვლება რუსეთის მომხრეთ („ნაროდოვა დემოკრატია" და „რეალისტები"), რომელთაც მხოლოდ 9 ხმა აქვთ, დანარჩენი 42 ხმა ეკუთვნის უკიდურეს ნაციონალისტებს და სოციალისტებს, რომელნიც იზიარებენ გ ლიცაში მყოფ „უმაღლეს ნაციონალურ კომიტეტის" ავსტრო-გერმანულ პოლიტიკას.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

ქ. სტანისლავოვის დღეები დათვლილი იყო მას შემდეგ, როდესაც გენ. ლეჩიცკის მოწინავე ცხენოსანმა რაზმმა მარმაროშის რკინის გზა სად. დელატინის სამხრეთით გადასჭრა. თვით ავსტრიელებიც ადვილად მიხვდნენ ამ განსაცდელს, შეეცადნენ კიდევაც გაენთავისუფლებინათ ეს მიდამოები რუსეთის ჯარისაგან, მაგრამ ვერას გახდნენ. შემდეგ მარჯვენა ფრთამ დაიწყო იერიშები და ქ. სტანისლავოვსაც დაეპატრონა. როდესაც ტისმენიცა იგდეს ხელში რუსებმა, დარწმუნებული ვიყავით, რომ სტანისლავოვსაც მალე აიღებდნენ. თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ქალაქის აღებას, ჩვენ ადრევე განვმარტეთ. გარდა ამისა იქვე აღვნიშნეთ, რომ ამ ქალაქის აღებას უსათუოდ მოჰყვება ბრუსილოვის მიერ საერთო სტრატეგიულ ოპერაციის დაწყება მთელ გალიციის წინააღმდეგ. გუშინწინდელი ოფიციალი დეპეშა სავსებით ადასტურებს ჩვენ მიერ გამოთქმულს აზრს. გენ. ლეჩიცკის გამარჯვებას მოჰყვა საერთო შეტევა ტარნოპოლიდან. აქ რუსებმა იგდეს ხელში მთელი წყება სიმაგრეებისა მდ. სტრიპაზე, კოროპეცზედ და მიადგნენ ზოლოტაია ლიპას. ცხადია, რუსეთის ჯარი ნაცადის გზით მიდის ლვოვზე. არა ერთხელ გვითქვამს, რომ გალიციის ბედი გადაწყვეტილი იქნება, თუ გერმანელებმა კონტრ-ოპერაცია არ დაიწყეს პოლონეთის ბრძოლის ასპარეზზე. ამასთანავე თვით რუსეთის მხედრობამაც აუცილებლივ უნდა დაიხსნას კოველი-ვლადიმირ-კოლინსკი და მთელი წყება სიმაგრეებისა, მოყოლებული რიგადვინიდან, თუ კი უნდა გალიციის საკითხი სამუდამოთ გადასწყვიტოს. გარდა ამისა გენ. ბრუსილოვის მთავარი მიზანი უნდა იყვეს არა ადგილების დაპყრობა, არამედ მტრის ცოცხალი ჯარის განადგურება, მისი მოსპობა იმდენად, რომ მან ველარ შესძლოს აქტიური მოქმედების დაწყება.

ოსმალეთის ბრძოლის ველიდან გუშინდელი ოფიციალი ბიულეტენი არას ხვატყობინებს იმის შესახებ, თუ რა ხდება მუშ-ბითლისის მიდამოებში. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ორივე ეს საოპერაციო ბაზა რუსებმა რამდენიმე დღეა რაც დასტოვეს და ბრძოლა ჩრდილოეთით გადმოიტანეს. მასთანვე არ მოგვსვლია ცნობა, თუ რამდენად წინ წაიწია რუსეთის ჯარმა კეგის სამხრეთით. სამაგიეროთ გვატყობინებენ, რომ ვანის ტბის დასავლეთის ნაპირებს ოსმალებისათვის უკან დაუხევინებიათ. უკან დაახევინეს ამ ორი დღის წინეთ აგრეთვე სპარსეთში საქიზის მიმართულებით. ცხადია, რუსეთის მხედრობა ფართო დემონსტრაციას იწყებს, რომ ამ სახით გავლენა მოახდინოს მუშ-ბითლისის მიმართულებით მომქმედ ოსმალეთის ჯარზე. უკანასკნელი არ შეიძლება არ შეაფიქრიანოს ამ ოპერაციამ, რადგან მათი საკვები გზების აშკარა მუქარაა. საერთოდ კავკასიის ბრძოლის ველზე დაწყებული ოპერაცია თანდათან უფრო ფართე ხასიათს იღებს და ჩვენც მალე შევიტყობთ ვის დარჩება გამარჯვება.

X.

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა**

31 მკათათვე.

**პეტროგრადი,** 30 მკათათვე. ოფიციალი. რუსეთის ასპარეზი. მდ. სერეტას მიდამოებში ჩვენი ჯარი სიმაგრეებიდან ლტოლვილ მტერს ფეხდაფეხ უკან მისდევს და ეზერნის მიმართულებით შეტევას განაგრძობს. ბუჩაჩის მიმართულებით ამ ქალაქის დასავლეთით, ჩვენი მამაცი რაზმები და ზოგ ადგილას მდ. კოროპეცის გაღმა გავიდნენ. აქ მათ სოფ. სლობუდკა, გურნა და ფოლვარკი აიღეს. მონასტერჟისკოს მიდამოებში ჩვენ მონასტერჟისკო-ვიჩურკის რკინის გზა ხელთ ვიგდეთ და ზოლოტოი ლიპისა ð ხოროჟანკის შუა, სოფ. კრასიუევიდან სოფ. უსტიე ზელიონემდის მდებარე ადგილი დავიჭირეთ. სტანისლავოვის მიდამოებში ჩვენი ჯარი მდ. ბისტრიცა-ნადვორჟანსკის მეორე ნაპირზე გასვლას განაგრძობს. ქ. სტანისლავოვის მიტოვებისას მტერმა მხოლოდ რკინის გზის აფეთქება მოასწრო; თვით ქალაქი ხელ-უხლებელია.

**კავკასიის ასპარეზი.** გიუმიშ-ხანის დასავლეთით ოსმალებმა რამდენჯერმე დაიწყეს შეტევა, რომელსაც ჩვენი ჯარი იგერიებს. ტყვედ წამოყვანილ ასკერებს თავებ დახერხილი ტყვიები აღმოაჩნდათ. მათის სიტყვით ამ თვენახევრის წინად მათი პოლკის უმფროსის ბრძანებით ჯარისკაცებს თითოს ას-ასი ამგვარი ტყვია დაურიგებია. ტყვიის თავების გადასახერხად პატარა ხერხები დაურიგებიათ.

ბითლისის ჩრდილოეთით სასტიკი ბრძოლა არ შეწყვეტილა. სპარსეთში, ბაკანის მიდამოებში ჩვენი ჯარი საკიზისაკენ ლტოლვილ მტერს უკან მისდევს.

**პეტროგრადი,** 30 მკათათვე. ოფიციალი. რუსეთის ასპარეზი. დღეს ჩვენმა მამაცმა ჯარმა მემკვიდრე ცესარევიჩის და დიდი მთავრის ალექსი ნიკოლოოზის ძის დაბადების დღესასწაული აღნიშნა ახალი გამარჯვებით. ჯარმა უკანასკნელი სიმაგრე აიღო იმ მიდამოისა, რომელიც მტერმა შარშან ზამთარში მდ. პრიპიატიდან რუმინეთის საზღვრამდის გაამაგრა. დღეს, 30 მკათათვეს, 7 კვირის განმავლობაში განუწყვეტელი ბრძოლის შემდეგ გენ. სახაროვის და შჩერბაჩოვის მამაცმა ჯარმა, გენ. ბრუსილოვის ხელმძღვანელობით აიღო მტრის მიერ გამაგრებული სოფლები ხლიადკი, ვოროდიევკა, ცებროვი, ეზერნა, პოკროპივნა, კოზლოვი, კურკანუვის ტყე და მდ. სტრიპის მთელი ბრძოლის ხაზი; ამგვარად ეხლა ჩვენ ხელთ არის მტრის მიერ მთელი ზამთრის განმავლობაში აღმართული სიმაგრენი ტარნოპოლის და ბუჩაჩის მიდამოებისა. გენ. ლეჩიცკის მამაცმა ჯარმა ქ. ნადვორნი და სოფ. პიტკოვი აიღო და მდ. ბისტრიც-სოლოდვინსკის გ ღმა გავიდა.

**პარიზი,** 29 მკათათვე. დილის ოფიციალი ცნობა. სომმის ჩრდილოეთით ფრანგების არტილერიამ მტრის სიმაგრეებს ყუმბარები დაუშინა. გარდეკურას ჩრდილოეთით მდებარე ჭალებში კერძო ხასიათის ბრძოლების დროს ფრანგებმა ტყვეები და 2 ტყვიის მტყორცნელი ხელთ იგდეს. მაასის მარცხენა ნაპირზე „304" სიმაღლის აღმოსავლეთით ფრანგების ჯარი მტრის სანგრებს მოულოდნელად თავს დაესხა და მრავალი ტყვე წამოიყვანა. მაასის მარჯვენა ნაპირზე საშუალო სიძლიერით საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. ტიომონის ჩრდილოეთ-დასავლეთით ხელით სასროლ ყუმბარების შემწეობით მცირემნიშვნელოვანი შეტაკებები ხდებოდა. ბრძოლის დანარჩენ ასპარეზზე ხანგამოშვებით ზარბაზნ ს სროლაა. 28 მკათათვეს, ღამე, ფრანგ მფრინავთა რაზმმა სად. ვიუზიერს და ბაზანკურს ყუმბარები დაუშინა.

**პარიზი,** 29 მკათათვე. საღამოს ოფიციალი ცნობა. სომმის დასავლეთით ჩვენმა ქვეითა ჯარმა გერმანელების რამდენიმე თხრილი იერიშით აიღო. ენის ტყის დასავლეთით ჩვენმა ჯარმა მტერს ორი ჭალა წაართვა. აქ ჩვენ ტყვედ წამოვიყვანეთ 150 გერმანელი და ხელთ ვიგდეთ 10 ტყვიის მტყორცნელი. სომმის სამხრეთით ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა. ვერდენის ასპარეზზე, შატანკურასა და ტიომონ-ფლერის მიდამოებში პირველსა და მეორე ხაზის სიმაგრეებს მტერი ზარბაზნებს უშენს. დანარჩენ ასპარეზზე ღირსშესამჩნევი არა მომხდარა-რა.

**ლონდონი,** 29 მკათათვე. ოფიციალი. წუხელის მტერმა ფუროს ტყეში ზარბაზნის ძლიერი სროლა ასტეხა. ჩვენც პასუხს ვაძლევდით. სროლას იერიშები არ მოჰყოლია. ბეზანტენ-ლებტის ჩრდილოეთით ჩვენ კვლავ წინ წავიწიეთ. მტერს თვალსაჩინო ზარალი მივაყენეთ. დილის 5 ს. და 45 წ. პტერი ჩვენ მიერ წართმეულ თხრილებს ფიცხელ კონტრიერიშით ეკვეთა. იერიში მოვიგერიეთ და მტერს დიდი ზარალი მივაყენეთ. პოზიერის ჩრდილოეთ-დასავლეთით ჩვენ ზოგ ადგილას ცოტათი წინ წავიწიეთ. იპრის სამხრეთით ჩვენი მოწინავე რაზმები კარგად მოქმედობენ. დანარჩენ ასპარეზზე თვალსაჩინო არაფერი ყოფილა.

**ლონდონი,** 30 მკათათვე. ოფიციალი. 29 მკათათვის განმავლობაში მდგომარეობა არ შეცვლილა. ინგლისის მფრინავები ბრიუსელში „ცეპელინების" სადგომს დაეცნენ და ყუმბარები დაუშინეს. მფრინავთა რაზმმა ყუმბარები ესროლა აგრეთვე მონსის სადგურს, ნამიურის მფრინავთა სადგომს და ბუზინის და სურტრეს რკინის გზას. თავდაცემაში მონაწილეობას იღებდა 68 მფრინავი, ამათგან მხოლოდ ორი არ დაბრუნებულა უკან.

**რომი,** 30 მკათათვე, ოფიციალი. გუშინ ჩვენი ჯარი სან მიკელეს და სან-მარტინეს მიდამოებში იერიშებს განაგრძობდა. აქ ჩვენ ხელთ ვიგდეთ ვიპაკოს და მონტე-კოზიჩის სიმაგრენი. მტერმა სოფ. ვალონის აღმოსავლეთით დაიხია და „121" სიმაღლესთან ძლიერი მოწინავე რაზმები დასტოვა. მონფალკონეს აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა აიღო როკა, სან-მარტინო-დელ-კარსო, მთიანი ადგილი დოვერდო და ვალონის ხაზს მიუახლოვდა.

1 მარიამობისთვე

**უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი,** 31 მკათათვე. ოფიციალი. რუსეთის ასპარეზი. ნოვოგრუდოკ-გოროდიშჩე-სტოლბცის ბრძოლის ხაზზე მტრის მფრინავნი დათარეშობდნენ. ადამოვში (მირის დასავლეთით) მტერმა 10 ყუმბარა ჩამოაგდო. ქ. ნესვიჟის მიდამოებში გერმანელების მფრინავი გაჩნდა. მას ჩვენი მფრინავი შტაბ-კაპიტანის კრუტენის ხელმძღვანელობით იერიშით ეკვეთა და მტერი ძირს დასცა. მფრინავი ტყვედ წამოვიყვანეთ. 29 მკათათვეს შუაღამისას, კრევოს მიდამოებში პოლკის მღვდელი ანატოლი ტყვიით გვერდში დაიჭრა. მღვდელ ანატოლის ტყვია მოხვდა იმ დროს, როცა იგი მტრის მავთულების ბადესთან დაჭრილ და მომაკვდავ ჯარის კაცებს შემწეობას უწევდა. მდ. სერეტაზე გენ. სახაროვის ჯარმა ძლიერი შეტევით კვლავ წინ წაიწია, მტერს რამდენიმე ძლიერი სიმაგრე წაართვა და ზვერჟენ-ოლეიუვ-ზბოვიცა-ბელკოვცეს ბრძოლის ხაზს მიუახლოვდა. მდ. სერეტაზე ჩვენმა ჯარმა მტრის ბრძოლის პირი გაარღვია და მტერს ძლიერი სიმაგრენი წაართვა. გენ. შჩერბაჩოვის ჯარმა მტერი გაირეკა და ბრძოლით ქ ეზერნი აიღო. აქ ჩვენ დასავლეთი მიმართულებით წინ წავიწიეთ, სტრიპის სათავეს მივაღწიეთ და სოფ. პლაუხა-ველკასა და პლოტიჩეს სამხრეთით ჩვენმა ჯარმა სოფ. სლობისდა-ზლოტა-უვსეს ხაზს მიაღწია და ქ. პოდგაიცის და სოფ. ხოხოლჩეს მიდამოებში დაბანაკდა. მდ. კოროპეცის გაღმა გასული ჩვენი ჯარი მტერს ფეხ და ფეხ უკან მისდევს და მდ. კოროპეცის, ზოლოტაია ლიპის და ხოჟანკას სიმაგრეებს ართმევს მტერს. აქ დასავლეთით ქ. მარიამპოლთან მდ. დნესტრს მივაღწიეთ. 30 მკათათვეს ცებროვის მიდამოებში ბელგიის ჯავშნიანმა ავტომობილმა მამაცი შეტევით მტერს დიდი ზარალი მიაყენა. მდ. ბისტრიცე-ნადვორიანსკის და ბისტრიცე-სოლოდვინსკის მიდამოებში ჩვენი ჯარი ხიდებს აშენებს და თანდათან მდინარის მეორე ნაპირზე დაგადის. მტერი ზარბაზნს გვესვრის და მუშაობას ხელს გვიშლის. დელატინის სამხრეთით კარპატის მთების ტყიან ფერდობებზე ვოროხტასა, მოგურას და იაბლონიცის მიდამოებში ჩვენი ჯარი კვლავ წინ იწევს. მტერი კონტრ იერიშებს განაგრძობს, მაგრამ ყველგან ვიგერიებთ. 22 დან 29 მკათათვემდე გენ სახაროვის ჯარმა ტყვედ წამოიყვანა 340 აფიცერი და 16,594 ჯარისკაცი, ხელთ იგდო 3 ზარბაზანი, 47 ტყვიის მფრქვეველი და 16 ყუმბარის მსროლელი. გენ. შჩერბაჩოვის ჯარმა 22 მაისიდან დღევანდლამდის ტყვედ წამოიყვანა 1263 აფიცერი და 55,158 ჯარისკაცი. ხელთ იგდო: 55 ზარბაზანი, 211 ტყვიის მტყორცნელი, 29 ყუმბარის მსროლელი, 128 ყუთი ტყვია წამალი. გენ. ლეჩინსკის ჯარს 18-დან 28 მკათათვემდე ტყვედ ჩაუვარდა 141 აფიცერი და 10,450 ჯარის კაცი. მის ნადავლს შეადგენს 9 ზარბაზანი და 77 ტყვიის მტყორცნელი.

**კავკასიის ასპარეზი.** ვანის ტბის დასავლეთ სანაპიროებზე ტადვანის მიდამოებში ჩვენმა ჯარმა კონტრ-იერიშების შემწეობით ოსმალები სამხრეთისაკენ გარეკა.

**პეტროგრადი,** 31 მკათათვე. ოფიციალი. რუსეთის ასპარეზი. ჩვენი ჯარი მდ. სტრიპასა, კოროპეცსა და ზოლოტოი ლიპაზე გასვლას განაგრძობს. აქ ჩვენ ავიღეთ ქ. პოდგაიცა. მდ. დნესტრზე ჩვენმა ჯარმა ქ. მარიამპოლი აიღო. ბისტრიცის მიდამოებში მტერი მდინარის მარცხენა ნაპირზე გავრეკეთ. აქ ტყვედ წამოვიყვანეთ 12 აფიცერი და 1000 ჯარისკაცი. დავლად დაგვრჩა 7 ტყვიის მფრქვეველი და ერთი ზარბაზანი.

**პარიზი,** 30 მკათათვე. ოფიციალი. სომმის ჩრდილოეთით ოდეკურას აღმოსავლეთით და ფიუკარას მიმართულებით ჩვენი ჯარი მტრის მესამე ხაზ-ს სიმაგრეებს იერიშით ეკვეთა. აქ 6 ნახ. კილომეტრის მანძილზე ჩვენმა ჯარმა მტრის ხაზი გაარღვია, თხრილები და ძლიერი სიმაგრენი აიღო და 600—1000 მეტრით მტრის შუაგულ ჯარში შეიჭრა. სოფ. მორეპას სამხრეთი ნაწილი და ამ სოფლის სასაფლაო ჩვენ ხელთ არის. ამრიგად ჩვენი ბრძოლის ხაზი „109" სიმაღლიდან მოყოლებული, ვიდრე სოფ. კლერის დასავლეთ ნაწილამდის გავ-ფართოვეთ. ტყვეთა რიცხვი შეადგენს 1,000 კაცისაგან. ამას გარდა დავლად დაგვრჩა 30 ტყვიის-მფრქვეველი. კლერისა და მორეპას შუა მტრის კონტრიერიში მოვიგერიეთ. მდ. სომმის მიდამოებში დენიკურას სიმაგრეებს ჩვენი არტილერია ზარბაზნებს უშენს. ვერდენის ასპარეზზე ფლორი-ვო-შაპიტრას მიდამოებში მკაცრი საარტილერიო ბრძოლაა.

**პარიზი,** 31 მკათათვე, ოფიციალი. სომმის ჩრდილოეთით შედარებით სიმშვიდე დამყარდა. ფრანგები წინა დღით აღებულ სანგრებში მაგრდებიან, სოფ. მორეპის ეკლესიისა და სასაფლაოს გარშემო მტრის იერიშები ტყვიის მფრქვეველთა შემწეობით შევაჩერეთ. მტერს დიდი ზარალი მივაყენეთ და 80 ჯარის კაცი ტყვედ წამოვიყვანეთ. მაასის მარჯვენა ნაპირს ფლერის სამხრეთით ფრანგებმა წინ წაიწიეს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ბრძოლა მდ. სტრიპის გაღმა.**

სამხედრო მიმომხილველნი ასე ასწერენ მდ. სტოხოდის გაღმა ატეხილ ბრძოლებს: უკანასკნელ ოფიციალ ცნობების თანახმად რუსების შეტევა ორი გზით სწარმოებს; ერთი—კოველის მიმართულებით, მეორე—ლვოვის ხაზით. გერმანელების კონტრ-იერიშები სწორედ ამ ორ დიდმნიშვნელოვან მიდამოებს იცავენ. კოველის მიმართულებით რუსის ჯარი ბრძოლით მდ. სტოხოდის მეორე ნაპირზე გავიდა. აქ დაინახა პირკის ჰაობებს ერთად. სწორედ ეს არის მეტად ხელსაყრელი რუსების ჯარისათვის, რადგან მის მარჯვენა ფრთას ეს ჰაობები იფარავს. ამგვარად შესაძლებელია, რომ რუსებმა აქ მტკიცედ მოიკიდონ ფეხი. ბრძოლის ამ ხაზზე გენ. გოფმანის ახლად დარაზმული ჯარი მოქმედობს. მას დავალებული ჰქონდა მიშველობა გაეწია გენ. ლიზინგენის ჯარისათვის, რომელიც გერმანიის სამხრეთ ბრძოლის ხაზს იცავდა. თუმცა გენ. გოფმანის მაშველმა ჯარმა რუსების ცოტა არ იყოს წინსვლა გაუძნელა და სტოხოდის ბრძოლები გააფართოვა, მაგრამ მიუხედავად ამისა რუსის ჯარმა ლიუბაშოვთან სტოხოდის მიდამოები დაიჭირა და კოველისკენ მიმავალი მოკლე გზა ხელთ იგდო.

რადგან უმთავრესი ბრძოლები კოველის და ლვოვის მიდამოებში ხდება, ამიტომ ახლად დანიშნული მთავარსარდალი ჰინდენბურგი ყოველ ძალღონეს იხმარს, რომ ამ ბრძოლის ხაზზე რაც შეიძლება მეტს ჯარს მოუყარონ თავი და რუსების ჯარს გზები მოუჭრას.

**ბრძოლა ბროდისა და სტანისლავოვის მიდამოებში.**

სამხედრო მიმომხილველნი აღნიშნავენ, რომ ბროდ-სტანისლავოვის ბრძოლის პირზე, ლვოვის მიმართულებით რუსებმა დაასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით წინ წაიწიეს და სტანისლავოვის აღებით მტერს გალიჩისკენ მიმავალი გზები მოუჭრეს. ამგვარად რუსის ჯარი გალიჩს სამხრეთით უვლის. რუსებმა აქ მტრის ბრძოლის ხაზი გაარღვიეს და ლვოვს ემუქრებიან. თუ რუსებმა გალიჩი აიღეს, მაშინ ლვოვის ბედი თავისთავად გადაწყდება: ასე მოხდა ომის პირველ წელს, როცა რუსებმა ლვოვი აიღეს. ამჟამად რუსები გალიჩს დაშორებულნი არიან 20 ვერ ით.

**მდ. დუნაიზე ავსტრიის გემების მიმოსვლა შესწყვიტეს.**

ბუქარესტის გაზეთები იტყობინებიან: „ავსტრიელების სავაჭრო გემთა საგენტოს ტურნ-სევერინაში ბრძანება გასცა, რომ ავსტრიის სავაჭრო გემებმა მდ. დუნაიზე მიმოსვლა შესწყვიტონ. ის გემები, რომელნ ც ამ ჟამად დუნაის სანაპიროებზე დაცურავენ ჰუნგრეთის ქალაქ ორშოვაში გაიგზავნებიან.

**გერმანელების სიცრუე.**

ვოლფის დეპეშათა სააგენტო იტყობინება, რომ ჰოლანდიის გემი „ელ ჰელმინა" ლ ნდონიდან ფლისინგენში ბოგზიდან გემზე მყოფ მგზავრებს უამბნია, ვითომც ამ ბოლო დროის თარეშის დროს, გერმანელების „ცეპელინ"-ებმა ლონდონს და მის მიდამოებს ძლიერი ზარალი მიუყენებიათ.

**ავსტრო-გერმანელების ჯარი რუსეთის ასპარეზზე.**

გერმანიის გაზეთების ოფიციალ ცნობით გერმანელების ჯარი ჰინდენბურგის ხელმძღვანელობით მოქმედობს 800 კილომეტრის მანძილზე. ბრძოლის ასპარეზი იწყება ბალტის ზღვის სანაპიროებიდან და თავდება ბრძოლის სამხრეთით. აქ იწყება გენ. ბ-მტრის ჯარის ბრძოლის ხაზი და ამ მიდამოებში ჯარებს ხელმძღვანელობს ავსტრიის ტახტის მემკვიდრეს ჰერცჰერცოგ კარლ-ფრანც-იოზებს აქვს დაკისრებული.

**ჰუნგრეთი თავის ჯარების გამოყოფას თხოულობს.**

ბუდაპეშტის კორესპონდენტები იუწყებიან, რომ ჰუნგრეთში აგვლოთრივი მოწინავე საზოგადოება დაბეჯითებით სთხოვს მთავრობას, რათა მან მოჰყოს ჯარებიდან ჰუნგრელები გამოჰყოს და ჰუნგრეთის დამოუკიდებელი ჯარი შეჰქმნას. ამ ჯარმა, მათის აზრით, მხოლოდ ჰუნგრეთის მიწა-წყალი უნდა დაიცვას მტრის შემოსევისაგან და ავსტრო-გერმანელთა ინტერესებს არ უნდა ემსახურებოდესო.

**რუმინეთი და ბულგარეთი.**

ამ ბოლო დროს რუმინეთის და ბულგარეთის მოსაზღვრე რაზმებს რამდენჯერმე შეტაკება მოუხდათ. ამის გამო რუმინეთის მთავრობამ თავის ელჩს დაავალა გამოუცხადოს ბულგარეთის მთავრობას, რომ თუ ამგვარი შემთხვევა კიდევ განმეორდა, შესაძლებელია ამ ორ სახელმწიფოთა შორის მეგობრული განწყობილება დაირღვესო. რუმინეთის მთავრობა იმ აზრისაა, რომ ეს შეტაკება პროვინციალ მიზნით იყოს მოწყობილიო.

## უკანასკნელი დეპეშები

**რუსეთის ასპარეზზე:** რუსის ჯარი მდ. სტრიპს გაღმა გავიდა და ქ. ეზერნი აიღო. სოფ. პლოტიჩეს მიმართულებით ქ. პოდგაიცას მიუახლოვდნენ. მდ. ბისტრიცაზე რუსის ჯარი გაღმა გავიდა და მდინარეზე ახალ ხიდებს აშენებს. ღამე, 31 მკათათვეს, რუსებმა ქ. პოდგაიცა და მარიამპული აიღეს. აქ ტყვედ წამოიყვანეს 12 აფიცერი და 1000 ჯარისკაცი.

**კავკასიის ასპარეზზე:** ვანის ტბის დასავლეთ ნაპირებთან ქ. ტადვანის მიდამოებში რუსებმა კონტრ-იერიშებით ოსმალები სამხრეთისაკენ გარეკეს.

**საფრანგეთის ასპარეზზე:** სომმის მიდამოებში, ოდეკურას აღმოსავლეთით ფრანგებმა მტრის ბრძოლის ხაზი გაარღვიეს და 600—10000 მეტრის სივრცეზე მტრის ჯარის შუაგულში გამაგრდნენ. აქ ფრანგებმა ტყვედ წამოიყვანეს 1000 კაცი. ვერდენის მიდამოებში ფლერ-ვო-შაპიტრის ბრძოლის ხაზზე სასტიკი საარტილერიო ბრძოლაა.

**ინგლისის ასპარეზზე:** პოზიერის ჩრდილოეთით გერმანელები იერიშებს განაგრძობენ.

ქ. დუვრს გერმანელების ჰიდრო-აეროპლანებმა 4 ყუმბარა ესროლეს. ქალაქის ზარალი მცირეა. 1 აფიცერი და 6 ჯარისკაცი ყუმბარით მსუბუქად დაიჭრა.

—

ვენიდან იტყობინებიან: ავსტრიის მთავარ შტაბში ვილჰელმა ინახულა ერცჰერცოგი ფრიდრიხი, რომელიც აქამდე რუსეთის ასპარეზზე ავსტრიის ჯარს ხელმძღვანელობდა.

ჰუნგრეთის ოპოზიციის მეთაური ანდრეაში ვილჰელმმა გერმანეთის მთავარ შტაბში მიიწვია.

—

სტოკჰოლმიდან იტყობინებიან: გერმანეთის და ავსტრიის ჯარი ორივე შტაბისაგან შემუშავებულ გეგმის მიხედვით იმოქმედებსო

—

ოსმალეთის სამინისტროში თითქმის ყველა თანამდებობაზე გერმანელები დაინიშნენ განუსაზღვრელ უფლებებით.

—

სერბეთიდან ავსტრიელებს მთელი მოსავალი გააქვთ.

ამბობენ, მრავალ რიცხოვანი რუსის რაზმები კარპატებს გადავიდნენ და ამ ჟამად მარმაროშ-სიგეტას მახლობლად იმყოფებიანო.

—

„უტრ. როსიი" იტყობინებს: კონსტანტინეპოლში მობილიზაა გამოცხადებული. იქ მოკრეფილ ჯარს პირდაპირ გალიციის ასპარეზზე გადაიყვანენ და ხელმძღვანელად ჯემალ-ფაშას დანიშნავენო.

—

ამ ბოლო დროს ვილჰელმი ვარშავაში მისულა. ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენლებისთვის ვილჰელმს სიტყვით მიუმართავს და უთქვამს: პოლონეთი გერმანეთს შეუერთდება თანახმად გერმანეთის სახელმწიფოთა კავშირის საერთო დებულებისა, იმავე უფლებით, რა უფლებითაც არის ყოველი სახელმწიფო ამ კავშირშიო.

—

ვენიდან ოფიციალად იტყობინებიან: ცენტრალ სახელმწიფოებმა რუმინეთის სახელმწიფოს საზღვარზე ჯარი გადაიყვანეო, მაგრამ ეს იმას რა მნიშნავს, რომ რუმინეთს აუცილებლად ომის გამოუცხადებენო.

მიღებულია ცირკულიარი, რომლის ძალით ბანკებსა და ერობაში მოხამსახურეთ შეღავათი ეძლევათ.

—

„უტ. როსიი“ იტყობინება: საქართველოს საეგზარხოსო რევიზიის დროს ვოლჟინმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ საქმეებს, რომელიც აღიძრა მიტროპოლიტ პიტირიმის ეგზარხოსობის დროს.

—

რუმინეთის სახელმწიფომ გერმანეთში სპილენძის შეტანას უმატა.

—

მარმაროშ-სიგეტში ორი დივიზია (24000) ოსმალთა ჯარი მიუყვანიათ, ეს ჯარი ავსტრიის შტაბს ექვემდებარება.

—

მიუნხენის გაზეთი გერმანეთისგან დაპყრობილ ადგილებს აფასებს ას მილიარდ მანეთად. აქ არ შედის ღირებულება სხვა და სხვა საქონლისა, მანქანებისა, ტყვეებისა და არც შემოსავალი კონტრიბუციისა, რომელსაც როცა უნდათ მაშინ წაიღებენ.

—

გერმანეთის მინისტრს ციმერმანს ჰუნგრეთის გაზეთების კორესპონდენტებისთვის განუცხადებია: მკვიდრად ვართ დასავლეთის ასპარეზზე და ეხლა აქტიურად ვიმოქმედებთ აღმოსავლეთისაზეო.

—

ჰინდენბურგმა რუსეთის ასპარეზზე დანიშვნისათანავე რამდენიმე მხედართმთავარი გადააყენა. ჰინდენბურგის დანიშვნის გამო ჰამბურგის გაზეთი სწერს: იქ, სადაც დღემდე ორი შტაბი ბრძანებლობდა, დღეს ბრძანებას გასცემს ერთად-ერთი მხედართმთავარი ჰინდენბურგი. უსიტყვოდ დაემორჩილებიან ლიზინგენი, ბოტმერი და ბატონიშვილი ლეოპოლდი, რადგან ჰინდენბურგის უპირატესობა და პირველობა ერთხმად აღიარეს. ორმა იმპერატორმა ჯარი ჰინდენბურგს მიანდო. ომმა დაამტკიცა, რომ ტეხნიკის გაუმჯობესებასთან ერთად საჭიროა ძლიერი პიროვნებაცაო.

—

გერმანელები ირწმუნებიან, რომ მარიამობისთვის ნახევრებში ნიუ-იორკში გაჩნდება მათი „ცეპელინი“, რომლის მსგავსი ჯერ არავის ენახვებაო. „ცეპელინი“ შეიარაღებული იქნება ზარბაზნებით და იმდენად სქელი ჯავშანი ექნება გადაკრული, რომ ვერავითარი ყუმბარა ვერ დააზიანებსო. მფრინავი თან სავაჭრო საქონელს წაიღებს. მას თვით გრაფი ცეპელინი გაუწევს ხელმძღვანელობასო.

—

ამბობენ, თუ რუმინეთმა დაიგვიანა და ომში მალე არ ჩაერია, შერიგების კონფერენციის დროს ხელცარიელი დარჩებაო.

—

ციურიხიდან იტყობინებიან: ავსტრიელები ლვოვს სცლიანო.

—

ინგლის-რუსეთის შეთანხმება სპარსეთის გარეშესა თუ შინაურს საქმეს სრულიად შესცვლის. სპარსეთის დამოუკიდებლობ..ს საკითხს როგორ შეჰხედავს ეს ორი სახელმწიფო არ იციან. საინტერესოა მხოლოდ სპარსეთის ეროვნულ პარტიის წარმომადგენლები რა თვალით უცქერიან ინგლის-რუსეთის შეთანხმებას? ამ მოვლენას ისე ხომ არ შეჰხედავენ, როგორც თვითნებობას და უზურპაციას? თუმცა, უცბად რომ შეიქმნება რეგულიარული ჯარი ოსმალთა საწინააღმდეგოდ, სპარსელები ინგლისს და რუსეთს ნდობას გამოუცხადებენო.

—

„რ. სლოვო“ იტყობინება: მინისტრთა საბჭოს უმცირესობამ პოლონეთის საკითხის შესახებ გაიმარჯვა. კრიჟანოვსკის მიანდვეს ახალ პროექტის შედგენა საზონოვის პროექტის მიხედვით. პროექტში აღნიშნულია რუსის მთავრობის წადილი პოლონეთის ხალხის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მომავალ პოლონეთის წესწყობილება ასეთი იქნება: უნდა დაარსდეს პოლონეთის შეერთებული სამეფო სეიმით. საერთო სახელმწიფო საკითხები, რომელნიც რუსეთის ქვეშევრდომთ შეეხებათ, უნდა გადასწყვიტოს სათათბიროში და საბჭომ, ადგილობრივი საქმეები სეიმმა. გარეშე პოლიტიკა, ჯარი, ფული, ფოსტა, ბაჟი და რკინის გზა საერთოა მთელი იმპერიისთვის, სკოლა და სასამართლო—პოლონური. პოლონეთის დედაქალაქში დაინიშნება მეფის ნაცვალი. ამ აქტში საზღვრები არ არის აღნიშნული. პროექტს სათათბირო და საბჭო განიხილავს.

—

სალონიკიდან იტყობინებიან ბულგარელებს 325 ათასი მებრძოლი ჰყოლიათ. აქედან 80 ათასი მოკავშირეების წინააღმდეგ იბრძვის.

# დ ე პ ე შ ა

(შემთხვევითი)

გორი, 29 მკათათვე. „სახალხო ფურცლის“ № 636-ში მოთავსებული ცნობა, ვითომც ქ. გორის ქუჩებში ხოლერის წინააღმდეგ მოწოდება მარტო რუსულ ენაზე ყოფილიყოს გაკრული, მტკნარი სიცრუეა.

საბჭოს რწმუნებულთა დავალებით ქალაქის მოურავი გრიგოლაშვილი.

# ახალი ამბავი

✦ ვაჟას პანაშვიდი. კვირას, 31 მკათათვეს, ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების წლის თავის შესრულების გამო განსვენებულის სამარეზე წირვის შემდეგ გადახდილ იქმნა პანაშვიდი დეკ. გურგენიძის მიერ. პანაშვიდს დაესწრნენ განსვენებულის ოჯახობა, ძმები, წარმომადგენელნი ქართულ საკულტურო-განმანათლებელ საზოგადოებათა, ქართულ პრესისა და ლიტერატურისა და მის ზეგარდმო მადლით ცხებულ ნიჭის პატივისმცემელნი.

✦ თ-დ მ. მ. ჭავჭავაძ..ს დაკრძალვა. კვირას 31 ივლისს ქვაშვეთის ტაძარში წირვა და ანდერძი აუგეს მხცოვან მამულიშვილს მაკარ მოსესძე ჭავჭავაძეს. დაესწრნენ წარმომადგენელნი ქართულ სხვა და სხვა საზოგადოებისა, თავად-აზნაურობისა და მრავალი პატივისმცემელნი განსვენებულისა. განსვენებულის კუბოს მრავალი გვირგვინი ამკობდა. დაკრძალვა წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე მოხდა.

✦ დაჭრა. 31 მკათათვეს ერევნის მოედანზე საზარელი სურათი გადაეშალათ მნახველთ. ასე ნაშუადღევის 2 ნახ. საათ. პუშკინის ბაღთან მოვიდნენ კარგა შექეიფიანებულნი სოფ. საწულუკიძის მცხოვრებნი ალ. ადამია და გ. ჯანღაძე. ადამია მიეფარა ბაღის რკინის ღობეს და რაღაცას სჩადიოდა. ამ დროს უკანიდან ჯანღაძემ იძრო ხანჯალი და ადამია თავში ისე მძიმედ დასჭრა, რომ ტვინი გადმოუვიდა, მერე დააგდო ხანჯალი და ჰქრილობას კოცნა დაუწყო. ხალხი გაშტერებული უცქეროდა ამ საზარელ სცენას. ცოტა ხნის უკან გაჩნდა პოლიცია. ადამია ავტომობილით საავადმყოფოში წაიყვანეს, ხოლო ჯანღაძე შეიპყრეს.

✦ კიდევ ერთი უცნაური განკარგულება. სასანიტარო და საევაკუციო ნაწილის უმაღლეს უფროსის, მისი უმაღლესობის ა. პ. ოლდენბურგის პრინცის, წარმომადგენლისაგან, თბილისში, გენერალ ბერნოსაგან, მოწერილობა მოუვიდა ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილების თავმჯდომარეს, რომ კავშირის ლაზარეთების ყველა მოსამსახურე ქართველები, რომელნიც რუსულად თავისუფლად ვერ ლაპარაკობენ, სამსახურიდან დაითხოვოს.

✦ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მრავალი მოსამსახურენი შეტანილი არიან მოლაშქრეთა სიაში. საზოგადოება დიდს გაჭირვებაში ჩავარდება. საზოგადოების მთავარ გამგეობის მოსამსახურეებმა შეღავათის მიმცემ თბილისის კომიტეტს მიმართეს შუამდგომლობით და ჯარში გაწვევის ვადის გადიდებას სთხოვენ. მთავარმა გამგეობამ ბათომის განყოფილებას წინადადება მისცა ასეთივე შუამდგომლობა აღძრას თავისი მოსამსახურეების შესახებ შეღავათის მიმცემ ოზურგეთის კომიტეტის წინაშე.

✦ ვადის გამგრძობ კომიტეტში. ქალაქის კომიტეტმა, რომელსაც ჯარში გასაწვევ პირთა შეღავათის მიცემა აქვს დაკისრებული თავის უკანასკნელ კრებაზე განიხილა თხოვნები შემდეგი დაწესებულებისა და პირველ იანვრამდე შეღავათი მისცა: 1) საქალაქო საელექტრონო სადგურის 25 კაციდან 24-ს პირს 2) აფთიაქების გეინისა 19 კაციდან 15-ს, ზემელისა—9-დან 5-ს, ოტენისა 3—3, ბენიამოვიჩისა 4—2, გლეზირისა 2—2, შენგარტისა 2—2, სიმხოვიჩისა 2—1, შიხინოვისა 5—2, გრუენდიძისა 5—3, ჯანელიძისა 4—4, მეფისაშვილისა 1—1, აივაზოვისა 2—2, ახვლედიანისა 4—3, შიმანსკისა 1—1, ლიბიხისა 2—2, პრუსბერგისა 1—1, ყოჩიევისა 3—3 და მაკკერის აფთიაქიდან 2 კაციდან ორსავე მისცა შეღავათი 3) კავკასიის საავთიაქო საქონლის მოვაჭრე ამხანაგობის 21 კაციდან 10 კაცს იანვრამდე განუგრძო ვადა, ხოლო 2 კაცს ორი თვით. 4) ქალაქის გამგეობის წყალსაყვანიდან ათიდან—8 კაცს, 5) კავკასიის მომხმარებელ კავშირიდან 8—8 6) „ალორძინების“ მომხმ. ამხ.—4—2, 7) ადელხანოვის მ ანუფთა მომხმ. ამხ.—6—5, 8) უნაგირების სავაჭრო სახ. განჩევიჩისაც 8—8, 9) პეტროგრადის სატელეგრაფო განყოფილებისაგან ერთი, 10) „სახალხო ფურცლიდან“ 14 კაციდან 13 პირველ იანვრამდე და 1 ორი თვით 11) „ორიზონის“ რედაქციიდან 10 კაციდან 6 იანვრამდე 1 ორი თვით და 10) „კოოპერატივის“ მომხმარებელ ამხ. ერთი.

✦ ხოლერა. 31 მკათათვეს თბილისის სასანიტარო და სამკურნალო ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელს ექ. შალვა მიქელაძ..ს ამბავი მოუვიდა, რომ გლდანში ერთს ოჯახში ხოლერის ნიშნებით არიან ავადო. ექ. მიქელაძემ მაშინვე გაგზავნა გლდანს თავისი ხელქვეითი ექიმი ბ-ნი ხარაზიანი და აღმოჩნდა, რომ ხსენებულ ოჯახში ავად გამხდარიყო ხოლერის ნიშნებით სალომე წამალაშვილი, რომელიც უკვე გარდაცვლილა და შემდეგ მისი ქალი და მისივე ვაჟი გაჩხდარან ავად. ავადმყოფები ქალაქის ლაზარეთში (№ 40) გამოგზავნეს. როგორც გამოირკვა, სალომე წამალაშვილი ავლაბარში ყოფილა სტუმრად ტაბაკაძისას, რომელიც, როგორც ვიცით, ხოლერისაგან გარდაიცვალა ლაზარეთში. ექიმმა მიქელაძემ დაუყონებლივ შემდეგი ღონისძიებანი მოიხმარა: 1) სთხოვა ქალაქის გამგეობას და ამ უკანასკნელმა მაშინვე შეასრულა, რომ გლდანის წყლის არხი, რომლის მახლობლადაც იმყოფება წამალაშვილის ოჯახი, მოწყვეტილ იქმნას ავჭალის წყლის არხისაგან, ასე რომ ამ უკანასკნელში ერთი წვეთი წყალიც არ ჩავიდეს გლდანიდან; 2) დეზინფექციის მოსახდენად წამალაშვილის სახლში მთელი რაზმი გაგზავნა, რომელსაც ექიმი დეზინფექტორი ხელმძღვანელობს; 3) მთელი სოფლის გამოსაძიებლად ხოლერის მხრივ სავანგებოდ ექიმი გაგზავნა; 4) სთხოვა გამგეობას მიწერილობით მიჰმართოს თბილისის მაზრის უფროსს, რომ სანიტარული ღონისძიებანი მიიღოს გლდანსა და ავჭალაში; 5) ბაქტერიოლოგიურად გამოკვლეულ იქმნა ქალაქის წყალსადენის წყალი, მაგრამ საშიში ბაცილა არ აღმოჩენილა; 6) გასინჯულ იქმნა ავჭალის წყალსადენის მოსამსახურენი და არავინ არ აღმოჩენილა ავად არც ხოლერით, არც ხოლერის ნიშნებით და არც მუცლათი. გარდა ამისა ბ-ნს მიქელაძეს გადაწყვეტილი აქვს ცალკე ექიმი დანიშნოს ავჭალის წყალსადენის მოსამსახურეთა და ავჭალა-გლდანისათვის; ექ მის შოვნა თუ არ მოხერხდა, ფერშალი მაინც გააწესონ. ამას გარდა გუშინვე, 1 მარიამობისთვეს, ქალაქის ექიმთა კრება უნდა მომხდარიყო წესების შესამუშავებლად შესახებ იმისა, თუ როგორ ადევნონ თვალ-ყური სასმელ-საჭმელის სავაჭრო სახლებს, როგორც, მაგალითად, სასტუმროებს, საჩაიეებს, საძეხვეებს, ხელოვნურ წყლის ქარხნებს და სხვ.

✦ კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს 1 ვაგონი გოგირდი არ მიუღია, რომელიც ვლადივოსტოკიდან იყო გამოგზავნილი. როგორც ეხლა აღმოჩნდა, კავკავის გზაზე მატარებელი დამსხვრეულა და იმ დროს გოგირდიან ვაგონს ცეცხლი გასჩენია და დამწვარა.

✦ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარი გამგეობა შეუდგა საზოგადოების 1915 წლის მოქმედების ანგარიშის დაბეჭდვას, წლიური საერთო კრება საზოგადოების წევრთა მოხდება ენკენისთვის პირველ რიცხვებში.

✦ გოგირდის ფასი. დღეს, 2 მარიამობისთვეს, კრება ექნება კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს და გოგირდზე ფასს გააწესებს.

✦ სურსათ-სანოვაგე. გუშინ, 1 მარიამობისთვეს, თბილისის ბაზრებში ბლომად იპოვებოდა ყოველგვარი ბოსტნეული და ხილეული. მხოლოდ არ იშოვებოდა კარტოფილი, რომელიც უკანასკნელ დროს სადღაც მიმალეს ვაჭრებმა.

✦ ქართული სამეურნეო ბანკი წინა წლებში სესხს ნაკლებად იძლეოდა საქონლის გირაონობით. უკანასკნელ ერთი წლის განმავლობაში ბანკმა მეტი გამბედაობა გამოიჩინა, და ზოგიერთ საქონელზე, მაგალითად, ღვინოზე, ფქვილზე, შაქარზე და ქალალდზე, სესხს იძლევა. ამ ჟამათ საქონელზე გაცემული სესხი 135 ათას მანეთს უდრის.

✦ მოსწავლეების დახმარება. ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარმა გამგეობამ 1000 არშინი ჩითი იყიდა და ბათუმში უგზავნის საზოგადოების განყოფილებას. ამ საქონლით სამოსელი უნდა შეუკერონ საზოგადოების სკოლების გაჭირვებულ მოსწავლეთ.

✦ კოოპერატივებ..ს დაარსება. სოფ. ძევერამ და ატენმა უკვე მიიღეს ნებართვა მომხმარებელ საზოგადოებათა დაარსების შესახებ და ამ დღეებში საზოგადოებანი შეუდგებიან მოქმედებას. რჩევა-დარიგების მისაღებად ამ საზოგადოებათ გაიწვიეს თბილისიდან ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საკოოპერაციო სექციის ინსტრუქტორი ბ-ნი მალაქია ტოროშელიძე. გუშინ, 30 მკათათვეს, ბ-ნი ტოროშელიძე უკვე გაემგზავრა ძევერს და იქიდან ატენს წავა.

✦ სკოლების გამგის ჩამოსვლა. ბათომიდან თბილისს ჩამოვიდა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების აჭარის სკოლების გამგე ბ-ნი ერემია გულისაშვილი. ის უნდა მოელაპარაკოს საზოგადოების მთავარ გამგეობას საზოგადოების სკოლების საფინანსო საქმეებზე.

# პატარა ფელეტონი

## „კოზაკის“ ჩივილი

(სახუმარ-სატირალი)

„აქლემები წაიკიდნენ და კოზაკი შუაში გაჭყლიტესო“.

(ანდაზა).

გასაყიდი არაფაფერი მაბადია, ყიდვით კი წლის მეტს ყველაფერს ვყიდულობ, ხანდახან წყალსაც, რადგან ზოგჯერ უქრთამოთ ჩემს შვილებს არც ის მოაქვს. დიახ, ყველაფერს ვყიდულობ, ესე იგი მინდა, სურვილი მაქვს ყველაფერი ვიყიდო, თორემ ისე ყველაფრის (ჩემი საჭიროების დასაკმაყოფილებელი) ყიდვა, ახლა კი არა, კარგ დროსაც არ შემეძლო. რაც უნდა „სული კბილით მეკავოს“, რაც უნდა გაჭირვებული ვიყო, ვისესხო, ვივალო თუ ვივახშო: მარილი, პური, ნავთი, შეშა, სიმინდი, ლობიო, წუღა და პაწია ჭინჭი, სულ რომ იმდენი სასირცხო ადგილი დაფაროს, ხომ უნდა ვიყიდო და ვიყიდო. დიახ, ან უნდა ვიყიდო, ან და ჯერ ცოლ-შვილი დავკლა და მერე თავი დავიკლა. ვიყიდო და რომელი მანთაშოვი მე ვარ, რომ შევძლო. თუ ჩემი მდგომარეობა შეგაწუხებს, მკითხველო, იტყვი: ღმერთმა დასწყევლოს ვაჭარიო. მე კი, ჩემო შემბრალებელო, უნდა მოგახსენო, რომ ღმერთმა დასწყევლოს რაიმე საქონლის ყველა გამყიდავი, ჩემთვის ერთია პატენტიანი ქალაქელი ვაჭარი თუ უპატენტო სოფლელი გლეხი, თუ გლეხის ცოლი (გინდ ქვრივი), გინდ მგელს შეუჭამივარ, გინდ მგლის ფერ ტურას, გინდ ზღვას დაურჩივარ, გინდ ცვარს, აღმართი და დაღმართი—არც ერთია წაღმართი, ერთი შეწვი, მეორე შესცხე, ერთი გამომიწყდა, მეორე გამომეშხამა, ორივეს თავი მთხოვა ღმერთმა და ორივე სიამოვნებით მივართვი.

ბატონებო, თუმცა წყევლა ჯერ კიდევ არ გამითავებია (და ვერც გულს ვიჯერებ მათი წყევლა-კრულვით), მაგრამ მეტს თავს არ შეგაწყენთ და ვიმეორებ მე (და ბევრი ჩემისთანა) საშუალო მუშტარი (დიახ მუშტარი და არა ახალი რუსული „მხარებელი“) ვყიდულობ მხოლოდ და არაფერს არ ვყიდი, რასაც ვყიდი იმას ეწოდება ჩემი ძალა (გინდ გონებრივი და გინდ ფიზიკური), რომლის ტირაჟი არ აწევულა, იმის დახარჯვაში ისევე იმ გროშებს მაძლევენ, რაც მე მეძლეოდა სარაევოში მომხდარ მკვლელობამდე—ამ ომის ატეხამდე. ომის შემდეგ ყველაფრის ნაწარმოებმა მოიმატა, თითქოს მართლაც ყველამ დარდანელის ვიწრო სრუტე გაიარა, ჩემმა ნაწარმოებმა კი პირიქით იკლო, მაგრამ კმარა მარტო ჩემს თავზე გოდება, ავიღოთ სხვები ინტელიგენტური პროფესიის ხალხის მდგომარეობა. რა მოემატა მასწავლებელს, მღვდელს, ზოგიერთ მოხელე პირებს (ქრთამს ხომ ყველას ვერ ჩაუთვლით) და სხვებს—არაფერი. გაიზარდა ხარჯი, იკლო ნაშრომის სასყიდელმა. რას ჰგალობს ვაჭარი და ზოგიერთ მცხოვრებთა უმეტესობა—არაფერს. ვაჭრები და სოფლელი გამყიდველები ერთი-მეორეს ეჯიბრებიან „ბირჟაზე“ (საპარასკეოზე), ისინი ჰკიდაობენ „შუაში ჩვენ ვიჭყლიტებითო“—რა შუაში ვარ მე, რა დავაშავე. მოუმატა მეფურნემ პურს, გირვანქა შაურის ნაცვლად ორად გაყიდა, სამაგიეროთ სოფლელმა მანეთ ნახევრად რომ ურემ შეშას ყიდდა, ოთხ მანეთად გახადა, მოუმატა ხარაზმა წუღას (ჩუსტი), იმის კვალობაზე მოუმატა სიმინდის ფქვილის გამყიდველმა, მოუმატა მეფართლემ—მოუმატა მექათმემ და ქათამს მამალი ინდოურის ფასად ყიდის, მოუმატეს თუთუნს აქციზი, მოუმატა თუთუნის გამყიდველმა, უბრალო მსხალი და ვაშლი კაპეიკათ რომ ხუთი და ათი „კაკალი“ იყო სამოთხის ხილი გახდა... რამდენი ერთი მოუთვალო. ერთი სიტყვით სიმართლეს თუ მოთქმევინებთ, ვაჭრებს სამაგიეროს (თუ მთლად არა ოთხმოცდა ათ წილს მაინც) უხდის სოფლელი—ჩვენ, საშუალო მუშტრები დავრჩით თავშემორებული მათი „საეტლო ცხვარი“ და ორივე, ვაჭარიც და სოფლელიც თავის სურვილის მიხედვით გკვრეჭს. ნუ შემრისხავთ სიმართლისათვის, მაგრამ გარდა უმიზნობისა ვაჭრების დარბევა (პოგრომი) სოფლელებიდან უსამართლობათ მიმაჩნია, ჩემგან და ჩემი ტაფის ამხანაგებიდან კი ახია ორივე ჯურის ვაჭრები ქალაქელიც და სოფლელიც დავარბიო. თუ არ დავარბევ უთხრა მაინც: „თქვენ ერთმანეთი როგორც გინდათ ისე ხარით, მაგრამ ჩვენ რა დაგიშავეთ, აშელის პირობაში ბაშელს რას ერჩით!“ მართალია ეს ჩემი გოდება პატარა ქალაქ ოზურგეთს და მის მიდამოებს შეეხება, მაგრამ არ მგონია სხვაგანაც ამისივე მსგავსი არ ხდებოდეს. აქ კი (გურიაში) თამამად ვიტყვით (თუ გინდ ენა წამაჭრათ), რომ დღევანდელი მდგომარეობით წაგებული მარტო „კოზაკები“ ვართ. თუ მდგომარეობა არ შეიცვალა კიდევ უარესი მოგელის მეურმეები აშკარათ ამბობენ: ურემ შეშას (მანეთ-ნახევრიანს) თუმნად გავხდითო. ერთი კვერცხი შავრათ უკვე არის, ყველი გირვანქა 60—70 კაპ.

ყოველივე ამის მიხედვით ჩვენ მოვითხოვთ სოფლელებისაგან ვაჭრების „ტაქსიასთან“ ერთად მათაც მოიღონ მოწყალება და მათაც დაუკლონ ცოტა თავიანთ ნაწარმოებს, მათაც გაიკითხონ ერთიმეორე, თორემ სადაურია, მეზობელი მეზობელს ყანაში თოხით მოხმარების ქირათ სამ მანეთსაც და ხარჯს რომ სთხოვს—სად არის სიწითლე და ნამუსი. თუ ასე გაგრძელდა ერთი მეორეს შევჭამთ. მგონი ღირს დაფიქრებათ*).

აპ. წულაძე.

# თბ. ქარ. გიმ. მოწაფეთა უნუგეშო მდგომარეობა

1916 წელმა თბ. ქართულ გიმნაზიის მოწაფეთ დიდი უბედურება მოუტანა. წელმა კი არ მოუტანა, რას ვამბობ მეც. ეს უბედურება პირდაპირ გიმნაზიის მამათმთავრებმა მოგვიტანეს, მათი წყალობით მთელი მოზარდი თაობა უბრალო ჯარისკაცად გაჰყავთ და უსპობენ საშუალებას, უფლებას განაგრძონ სწავლა. 80 მოწაფეზე მეტი დღეს სრულიად უპატრონოდ, სრულიად უნუგეშოდ უცდის ახლო მომავალს, რომელიც დიდ უბედურებას მოუტანს მათ. 1896 წელში დაბადებული მოწაფე უკვე ჯარისკაცის ტანტსაცმელშია, იგი უკვე სალდათია; და მერე ვისი წყალობით? პასუხი სრულიად მარტივი და სრულიად ბუნებრივი იქნება, რომ ვსთქვათ: გიმნაზიის მესვეურების წყალობითაო! ძაშ რა ვიფიქროთ, მაშ რა ვსთქვათ. რათ არ გაიწვიეს ქუთაისის ქართულ გიმნაზიიდან? ალბად იმისთვის, რომ იქ ეცადნენ, გაკეთეს რაც გასაკეთებელი იყო და ჩვენს მამებივით ალბათ უსაქმოთ არ იყვნენ. მაშინ, როდესაც დაღვრემილი მოწაფენი მიადგებოდნენ კარებს გიმნაზიისას, პირველ რიცხვებში ივლისისა, და ითხოვდნენ შველას, ინსპექტორი აგარაკად ბრძანდებოდა ქვიშხეთში და დირექტორი სოფლად. რა დროს აგარაკად წასვლა იყო, რა დროს უსაქმობა იყო. იქ გიმნაზიის კედლებში ვიდრე წარმოსთქვამდნენ ცხელ-ცხელ სიტყვებს: „ეს გიმნაზია ეროვნული განძია, აქედგან მოველით საღ თაობების გამოსვლასო“,—იმათ ის უჯობდათ, რომ გადაედგათ პრაქტიკული ნაბიჯი და მოწაფეთათვის ეს უბედურება აეცდინათ; მაშინ დავინახავდით, რომ ჩვენთვის ზრუნავენ, მაშინ დავინახავდით, რომ ისინი მომავალ თაობისთვის იღვწიან, თორემ ეხლა რა დაგვიჯერება მათგან. ჩვენ ჯარისკაცებათ მივყევართ, ისინი უსაქმოდ არიან. აგარაკებში განისვენებენ.

ვინმე მოწაფე.

*) თუ ვინ არის სიძვირისა და ჩვენი გაჭირვების ნამდვილი მიზეზი, ვინ უნდა დავარბიოთ და ვის უჩვენოთ „ფეთება“ ამაზე შემდეგ მოგახსენებთ.

აპ. წ—ძე.

# ვალ. გუნია ახალ-სენაკში

როგორც ეს ... ახალ-სენაკში ერთი წლის წინედ დაარსდა დრამატიული საზოგადოება, რომლის მთავარი დანიშნულება სისტემატიურად ქართულ წარმოდგენების, ლიტერატურული სალამოების მოწყობაში და სცენის საქმის მკვიდრ ნ ადაგზე დამყარებაში უნდა გამოხატულიყო. საუბედუროდ, ეს წრე დღეს ფაქტიურად აღარ არსებობს; მთავრობის-მიერ ის გაუქმებულ იქმნა, ვინაიდან დღიდან ამ წრის დამტკიცებისა მთელი ექვსი თვის განმავლობაში საზოგადოებას არც ერთი წარმოდგენა, არც ერთი სალამოც არ გაუმართავს, დრამატიულ საზოგადოებას თავის არსებობაში არავითარი ნაყოფი არ აღმოუჩენია უმთავრესი მიზეზი ამ წრის უმოქმედობისა და თვისი მოვალეობის აუსრულებლობისა ის იყო, რომ ახალ-სენაკს თეატრის შენობა სრულებით არ ჰქონდა, რის გამო, როგორც სცენის მოყვარეები, ისე დრამატიული საზოგადოებაც მეტად ცუდ პირობებში იმყოფებოდნენ. თვით სენაკის ინტელიგენციას არასოდეს სურვილი არ გამოუთქვამს საერთო თანხით ამ საჭირო დაწესებულების აშენებაზე. მიუხედავად ამისა ძმ. სანიკიძეებმა თავს იდვეს ეს მძიმე მოვალეობა, აღუთქვეს სცენის მოყვარეებს და საზოგადოებას ამ საქმის ღირსეულად მოწესრიგება და დაბოლოვება. მართლაც, როგორც იქმნა, ხანგრძლივი, შეუწყვეტელი ლოდინის შემდგომ, ველირსეთ ახალ თეატრს, რომელსაც მრავალი თვალსაჩინო დეფექტები აქვს, მაგრამ სცენის მოყვარეთათვის მაინც არა უშავს-რა.

თუმცა დრამატიულ საზოგადოებას მომავალში არსებობისათვის მთავრობის-მიერ უფლებები ჩამორთმეული აქვს, მაგრამ თვისი დაკარგული, წართმეული უფლების კვლავ აღსადგენად გამგეობა შეუდგა ენერგიულ მუშაობას, დაადგა სწორ გზას, შეიგნო თვისი შინაარსიანი როლი საზოგადოების წინაშე და დღეს დიდ მზრუნველობას იჩენს, რათა ადგილობრივი საზოგადოებას, რომელსაც სცენა და ხელოვნება უყვართ, მისცეს საშუალება ესთეტიური მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა შინაარსიანი წარმოდგენების მოწყობით. გამგეობამ სამუშაოდ მოიწვია როგორც ძველი, ისე ახალი სცენის მოყვარეები.

პირველი წარმოდგენა გაიმართა კვირას, 27 ივლისს, დამსახურებული მსახიობი ვალ. გუნიას მონაწილეობით. აქ ერთ მოვლენას მინდა მივაქციო მკითხველის ყურადღება რათა ხაზი გაუსვა ჩვენს წვრილმანობას და დაქუცმაცებას. თეატრის გახსნის პირველი დღისთვის გუნიას მოწვევის შესახებ დაბაში პატარა ლაპარაკი ატყდა. მთელმა ადგილობრივმა ახალგაზრდობამ, ხელოვნების გულწრფელმა მსახურმა და ვ. გუნიას პატივისმცემელმა, ერთხმად გადასწყვიტა სადღესასწაულო დღისთვის ხსენებული მსახიობის მოწვევა, რომლის ხილვას თვისი სამშობლოს ერთ პატარა დაბის ახალ თეატრის სცენაზე ახალგაზრდა სცენის მოყვარეთა შორის დიდის აღტაცებით მოელოდა სენაკის საზოგადოება, ვინაიდან მან იცოდა, თუ ვინ არის გუნია. მხოლოდ, ჩვენდა სამარცხვინოდ და სავალალოდ, ამ გადაწყვეტილებას წინ აღუდგენ ადგილობრივი დასელები, რომლებმაც გუნიას მოწვევაზე უარი განაცხადეს და მიზეზად დაასახელეს მისი „შავ-ბნელი პოლიტიკური წარსული“, ასეთი მოსაზრებით ხელმძღვანელობდენ ის პირები, რომლებიც ხალხს, მთელს ქვეყანას „მხსნელად“ ევლინებიან, რომლებიც მტკიცედ გაიძახიან, რომ„ ჩვენში არს ძალა, ჩვენია მომავალიო“. დეე, ეგრე იყოს, ბ-ნო დასელებო, გზა დაგვილოცია, მაგრამ ნება მომეცით წუთით შეგაჩეროდ და სამართლიანად შეგნიშნოთ, რომ თქვენ ცდებით, თქვენი საქციელი სამარცხვინოა. რა შუაშია გუნიას პოლიტიკური credo, მისი მრწამსი იმ დროს, როდესაც ის ემსახურება იმ საქმეს, რომელსაც მან შესწირა მთელი თვისი სიცოცხლე? რა შუაშია გუნიას მიმართულება მელჰომენის წმინდა ტაძარში? რა შუაშია გუნიას მიმართულება იმ დროს, როდესაც ის ოთარ-ბეგის სულის კეთებას გვამცნობს, ან არჩილ ლომაურის ტანჯვით დატანჯული სცენაზე გვევლინება? სად ხელოვნება, ბატონებო, და სად პოლიტიკური მიმართულება? რა არის მათ შორის საერთო?

რასაკვირველია, სენაკელ დასელების ასეთი გამოსვლა ახალგაზრდობის და მთელი საზოგადოების შეერთებულად გადაწყვეტას ვერ შეარყევდა, მათი გამოსვლა სრულებით შეუმჩნეველი იყო და ჩვენ თუ ამაზე პატარა შენიშვნა გავაკეთეთ, ეს მხოლოდ იმიტომ

რომ საწყენად დაგვრჩა სრულებით უპატივისცემლობა იმ პირისადმი, რომელსაც შეგნებული ქართველი საზოგადოება დიდ პატივსა სცემს.

შაბათ ღამით 11 საათზე დამსახურებულ მსახიობს სადგურზე შეხვდნენ ყველა სცენის მოყვარეები და მისი პატივისმცემლები, რომლებმაც საყვარელი მსახიობი სასტუმრო „ფრანციაში“ დააბინავეს. წარმოდგენის დღეს, ე. ი. კვირას, შეიქნა 8 საათი თუ არა, აუარებელი ხალხი მოაწყდა თეატრის კარებს. ერთ საათში ყველა ბილეთი გაყიდული იქნა. უბილეთობის გამო შინ ბევრი დაბრუნდა გულდაწყვეტილი. თეატრი, მიუხედავათ დასელების დაუსწრებლობისა, მთლად გაჭედილი იყო. აიხადა თუ არა ფარდა, სცენაზე მყოფ „ვალიკოს“ დამსწრე საზოგადოება ტაშის ცემით და თაიგულების სროლით შეეგება. წარმოდგენის დასრულების შემდგომ ყველა სცენის მოყვარეებმა გუნია ტაშის ცემით სცენაზე გამოიყვანეს და ყვავილები მიართვეს. საზოგადოება ძლიერ ნასიამოვნები დაიშალა. შემდეგ გაიმართა ბანკეტი „ვალერიანის“ საპატივსაცემლოდ, რომელმაც დილამდე გასტანა. ბანკეტზე სცენის მოყვარეებმა მშვენიერი სიტყვით მიმართეს მსახიობს და აღნიშნეს მისი ღვაწლი სამშობლოს სცენის წინაშე. დილით მხიარული სიმღერით და ტაშის ცემით სცენის მოყვარეებმა სტუმარი ნომრამდი მიაცილეს. გამომშვიდობების ჟამს ვალ. გუნია დაგვპირდა: „მუდამ მზად ვიქნები სამსახური გაგიწიოთო“.

მეორე დღეს დილით მსახიობი თბილისს გაემგზავრა.

ფრანც-მოთრი.

## სიმონ ბადურაშვილის (კიკნა-ფშაველა) ხსოვნას

(მოგონება)

თიანეთში ტრაგიკულად გარდაცვლილ სიმონ ბადურაშვილის ბედი მეტად დამაფიქრებელია განსაკუთრებით მის ამხანაგ მეგობრებისათვის. განსვენებული სასულიერო სასწავლებლიდან თბილისის სემინარიაში მიიღეს და აქვე დაიწყო მან ლექსების წერა. მის დროს სემინარიაში გამეფებული იყო მეტად სასტიკი რეჟიმი, ასე რომ სუსტნი და ნაზი ბუნებისანი ვერ უძლებდნენ მამა პიმენის (აწ ეპისკოპოსის) მიერ დამყარებულ წესებს და არჩევდნენ ისევ გაცლას ამ სასწავლებლის კედლებიდან. ასე მოიქცა მგოსანი ვ. ტაბიძე, რომლის პოეტური ნიჭი სემინარიაში უკვე გამორკვეული იყო. ტრაგიკულად გარდაცვლილ დემონის (ქუჩუ ქავთარაძის) მეტად სათუთი ბუნებაც ვერ ეგუებოდა სემინარიის აღმზრდელთა ცივ, უგულო მოპყრობას. განსვენებული სიმონი ხომ დაუღალავი მგმობელი იყო იმ პირობების, რომელნიც ახშობენ ადამიანში ინდივიდურ შემოქმედებით ნიჭს. ნაზი, სათუთი ბუნების და ამასთან მეტად მგრძნობიარე სიმონის გული ყველასათვის მისაწვდომი იყო. ამხანაგური გრძნობა დანდობისა განსაკუთრებით ახასიათებდა კიკნას და ამით აიხსნება მისი მეგობრობა გ. ხერხეულიძესთან. სემინარიაში ყოფნის დროს ის ერთობ გაიტაცა ხელნაწერ ჟურნალების გარშემო შემოკრებილ მოწაფეთა პრაქტიკულ მოღვაწეობამ და ამიტომ მთელის თავისი ბუნებით იბრძოდა სემინარიის სისტიკ წესების წინააღმდეგ. საერთო შევიწროვების გარდა მის გულს ღრღნიდა ის გარემოება, რომ ქართული ენის მასწავლებლობა მეტად გამოუცდელ და მოუმზადებელ კაცს ჩაუვარდა ხელშიო. ყოველგვარი უსამართლობა მასზე დიდსა და წარუშლელ დაღს აჩნევდა. პირში ლაქუცი და თავის მოდრეკა არ უყვარდა, ხოლო მუდამ ბრძოლის ალში გახვეულს თანდათან ეცლებოდა ჯანი და ბოლოს აშკარად ამბობდნენ, რომ სიმონს ნერვების ავადმყოფობა (неврастенiе) დასჩემდაო. სწორედ ამ დროს ჩვენ კიდევაც გავშორდით ერთმანეთს, ის კიდევ რამდენიმე ხანს დარჩენილიყო სემინარიაში და შემდეგ მოეხერხებინა ქართულ გიმნაზიაში გადასვლა. მახსოვს მხოლოდ რომ სემინარიაში ყოფნის დროს მას თითო-ოროლა ლექსი ჰქონდა დაწერილი, რადგან პრაქტიკულ მუშაობით გატაცებულს არც კი იზიდავდა წმინდა სალიტერატურო ვარჯიშობა. ნამდვილი ნიჭი კიკნასი, რასაკვირველია, ჯერ გაუფურჩქვნელი იყო, მაგრამ რაც დასწერა მხოლოდ გიმნაზიასა და უნივერსიტეტში ყოფნის დროს. განსვენებული წელს, სანამ სოფლად გაემგზავრებოდა, ვნახე თბილისში. ჩემს შეკითხვაზე, როგორა გრძნობ თავს ჯამრთელობის მხრით, მან მიპასუხა: „ძრიელ კარგად, სემინარიაში ხელოვნურად გამხადეს ავადაო“. არ ვიცი ეს სიტყვები სისწორით გადმოგვცემდა მის ფიზიკურ ჯანმრთელობის ამბავს თუ არა, მაგრამ კიკნა სულიერად ჩემთვის ის აღარ იყო, როგორც მას სემინარიაში ყოფნის დროს ვიცნობდი. საერო სასწავლებელში შესვლასა და გულის წადილის ასრულებას მასში თითქოს გაენელებია ნაღვლიანი გოდების უიმედო ჰანგები. ვაი, რომ ჩემ შეკითხვაზე კიკნას-მიერ მოცემული იმედიანი პასუხი თურმე უკანასკნელი ამოძახილი იყო ბოროტი წერით ატაცებულ ახალგაზდისა. როგორიც უნდა იყოს მიზეზი კიკნას სიკვდილისა, მეგობრები და ამხანაგები არ დაივიწყებენ მას, რადგან ის, როგორც ამხანაგურ დანდობის და მთლად სათნოების განხორციელება, მით უმეტეს არ გასწირავდა სიყრმის მეგობარს, ხოლო რაკი ასეთი უბედური ამბავი დატრიალდა, განა საკმარისი არაა, რომ სინიდისის ქენჯნაში ჩავარდნილმა ადამიანმა თავისი დანაშაული სიკვდილით გამოისყიდა?!. ამაზე მეტი გმირობა და ამხანაგისათვის თავის დადება წარმოუდგენელია.

დ. არონიშიძე.

## რუსეთი

### არეულობათა მოსასპობად.

„რუსკია ვედომოსტი“ გვაცნობებს, რომ მთავრობის უმაღლეს წრეებში განზრახულია საგანგებო საბჭოს შედგენა რამოდენიმე სამინისტროს წარმომადგენელთაგან; საბჭოს დაევალება შეიმუშაოს ზომები ხალხურ (მასიურ) დანაშაულის, ე. ი. არეულობის მოსასპობად; მხედველობაში აქვთ ის გარემოება, რომ ომს, ყოველთვის თან მოსდევს მასსიური არეულობა, როგორც შედეგი სამეურნეო და სახელმწიფო მოვლენათა ნამდვილ მიზეზების გაუგებლობისა; ისტორია იმოწმებაო, რომ მიუხედავად მთავრობის და საზოგადოებრივ წრეების ზომებისა, ასეთ სამწუხარო მოვლენას ყოველთვის ჰქონია ადგილი, როგორც ომის ჟამს, აგრეთვე ომის დაბოლოვებისას. რუსეთში ამ ჟამად ასეთნაირი მხოლოდ ცალ-ცალკე და წვრილი ხასიათის ამბები თუ ხდება, მაგრამ ისინიც აფუჭებენ „ცხოვრების სურათს“ და ავალებენ მთავრობას, რათა არეულობათა დამსწრები და მომსპობი ტეხნიკა სათანადო დონეზე იდგეს. ამიტომ საჭიროა ახლავე გასწორება ამ ტეხნიკის ყოველივე ნაკლის და ახალი ცვლილებების შეტანა, რათა სახელმწიფო მყუდროება უზრუნველ-იყოს. ყურადღება მიუქცევიათ იმ გარემოებაზედაც, რომ ახლა არეულობის წინააღმდეგი ზომები ერთ და იმავე დროს ევალება რამოდენიმე სამინისტროს, რაიც არაა გამოსადეგი საქმისათვისო და ალბად ამ საქმეს ჩააბარებენ განსაკურებითს უწყებას.

**სამარხვო კანონი** უკვე შევიდა ძალაში რუსეთის ქალაქებში; რადგან ამ კანონის ძალით აკრძალულია საქონლის ხორცეულობის გაყიდვა ოთხი დღის განმავლობაში, ამიტომ ხალხი ეტანება ფრინველეულობას; პეტროგრადში მაგალითად დაკლულ ფრინველის ფასს აუწევია 40 პროცენტით; აგრეთვე მოუმატიათ ფასი თევზისათვის, შაურად ღირებულს ახლა ექვს შაურად ჰყიდიან; აუწევიათ ფასი მემწვანილეებსაც.

## წერილი ფოთიდან

შორაპნის მაზრის კომიტეტის მინდობილობით შორაპნის მაზრის აგრონომმა რ. გედევანიშვილმა და მაზრის უფროსმა შეკიარეთ ქ. ფოთში, აქ წავაწყდით ვინმე ებრაელ ბიბერმანის სიმინდს, რომელიც ოროქლ-მავალიდან იცლებოდა. მთელი 25 ათასი ფუთი უვარგისი და პეპლებიანი აღმოჩნდა.

ეს ვაჭბატონი სარგებლობს ადესის კომერციულ ბანკის სახელით და ამნაირ ნაგავს ფუთს 1 მან. და 50 კაპ. ასაღებს! მაზრის აგრონომმა და უფროსმა შეატყობინეს სადაც ჯერ-არს და მოითხოვეს მისი სრულიად განადგურება. მალე შესდგება კომისიის რევიზია, რის შემდეგაც გავიგებთ ამ სიმინდის ბედ-იღბალს. შეიძლება ბიბერმანმა რაიმე ხრიკებით იხსნას თავი და როგორც თვითონ სთქვა თბილისის გუბერნიაში გამოგზავნოს. საჭიროა შესაფერი ზომები.

გოგლა ლ.

## დაბა-სოფლები

**სოფ. ტყვიავი.** დღევანდელ ჩვენ სოფლის გაჭირვებაზე ძალიან ბევრს სწერენ და ძალიან ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ ვინც სოფელში არა ყოფილა და ყოველივე თავის თვალით არ უნახავს, ვერ გაიგებს და ვერ მიახვდება სოფლის წყლულსა და გულის ტკივილს. თორემ აქამდის სოფელს ბევრი მეგობარი გულშემატკივარი გაუჩნდებოდა. ნამდვილი მამულიშვილი ინტელიგენტი მას მიაშურებდა ბ სოფელს თავის მოღვაწეობის ასპარეზად გახდიდა. დღეს ამას არ ვხედავთ. „ქალაქის ინტელიგენცია“ თავისთვის არის. სოფლისა მას არა უნდა-რა და სოფელსაც თავისას არაფერს მისცემს. ზაფხულობით თუ ეწვევა სოფელს, მაშინ თუ დაჰხედავს დაუწყებულს. მაგრამ განა იმისთვის მიდის რო იქ სოფლად, სოფლისთვის გააკეთოს რამე. თქვენც არ მომიკვდეთ; იქ მხოლოდ უნდა დაასვენოს თვისი ქალაქში მუშაობის დროს აშლილი ნერვები. ჩამოსული ინტელიგენცია ათასში ერთხელ თუ გამართავს წარმოდგენას. ეს არის და ეს, სხვას არაფერს დაგიდევენ. მაგრამ ამასაც უხეიროთ ეკიდებიან. პიესების შერჩევას არავინ დაგიდევს. სულ ერთია რაც იქნება, „ორი მშიერი“ თუ „სიძე-სიმამრი“. ან სხვა რამ ამისთანა; რა უნდა ჰპოვოს ჩვენმა გლეხმა ამგვარ პიესაში. რა უნდა წაიღოთ შინ ამ პიესის მნახველმა, როდესაც ამ პიესებში სრულებით არა ჰყრია-რა. მაგრამ სოფელი თვითვე ჰბაძავს ამ ინტელიგენტთა „ევროპიულ“ ცხოვრებას. სოფლის გოგო-ბიჭები ქალაქურად შეალამეძლე ქუჩაქუჩა სეირნობენ, ლაზღანდარობენ, ბანქოს თამაშობენ და სხვა. აი რას აძლევს ჩვენი ქუჩად მავალი ინტელიგენცია სოფელს!

სოფელი გულუბრყვილოა, ევროპიულ ცხოვრების ზიზილ-პიპილებით ადვილათ შეაცდენთ, და ადვილათ მიაღებინებთ ქალაქის ცხოვრების უარყოფით მხარეებს. წამხედური სოფელი ადვილათ ივიწყებს თავის ტრადიციას.

ქართული სიმღერები დავიწყებას ეძლევა და მათ ნაცვლათ შემოდის ქუჩური სიმღერები. დიდი სიფხიზლე და მუყაითობა გვმართებს სოფლის მიმართ, ყველა ამ მავნე მოვლენას უნდა გავებრძოლოთ და სოფელს შეუნარჩუნოთ მისი ტრადიციული ქართული სახე და სულისკვეთება. დღევანდელს პირობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიურად განადგურებულ სოფელს.

ახალი ბრძანების ძალით მთელი სოფელი უპატრონოდ რჩება. პირველად რომ ხმა გავარდა ლურჯ და წითელ ბილეთიანები მიჰყავთო, ღვთის რისხვა ვერ იმოქმედებდა ისე, როგორც ამ ხმამ იმოქმედა. სოფელი სახტად დარჩა. გადაავლო ყველამ თავის ოჯახს თვალი და იხილა, რომ იგი სრულიად უპატრონოდ რჩებოდა, უნუგეშოდ, ულუკმაპუროდ და სასოწარკვეთილებამ მოიცვა.—„რა უნდა ჩვენგან რო არ ვიცი, თუ ჩვენი განადგურება ჰსურთ, მოვიდნენ და აქ არა ვართ. ქრისტიანულად მაინც დავიმარხებით ჩვენ საქართველოში“. გაიგონებდით გლეხთა საუბრის დროს. გლეხის თვალებში მხოლოდ ღრმა სევდა და მწუხარება მოსჩანდა. არც თუ „სამი თვის“ ვადამ დაამშვიდა მისი გული:—„კარგი, ეხლა ჩავაბინევეთ, მერე, მერმის აღარ უნდათ, მერმის რიღათ იცხოვრონ, მარტო ამ ზამთარს ვიქნებით ომში?“—ეკითხებოდნენ, ეკითხებოდნენ ყველას, მაგრამ პასუხი, რომელიც მათ დაამშვიდებდა ვერვისგან მიიღოთ. სწორედ ამას დაერთო რეკვიზიცია და ამან ხომ სულ მთლად აამღვრია მისი სული და გული. უნდა წაერთმიათ ერთად-ერთი სახსარი ცხოვრებისა. უნდა წაერთმიათ ვაი-ვაგლახით შეძენილი კამეჩი თუ ხარი. მერე ეხლა, როდესაც საქონლის ფასი ერთი ათად გაიზარდა.

—„ლეკიანობასაც არა ყოფილა, ლეკიანობამ ეს ამბავი“,—ეხმაურებოდნენ ერთი მეორეს და „სტრაჟნიკების“ მათრახებ ქვეშ მიერეკებოდნენ საქონელს გორისაკენ, სადაც აღწერა ხდებოდა. გზა სავსე იყო საქონლით. რომელი მხრის კაცი და საქონელი გინდოდათ გენახათ, აქ ყველას ნახავდით. ბევრს დაეკარგა საქონელი, გზას გადასცდა თუ მოჰპარა ვინმე ხელ-მრუდმა მგზავრმა, ალაჰმა უწყის. ჩვენი რაიონიდან (30 სოფელზე მეტია) უნდა წაეყვანათ 30 ხარი და მთელ საზოგადოებას კი საქონელი გორში ჩაალალინეს. რამდენიმე დღით შესწყდა სოფლად სიცოცხლე; „ნეტავ გარჩევა მაინც იყვეს, უღელი ხარი პატრონს შეარჩუნონო“ ნატრობდნენ და ღვთის მადლით ნატვრა ესე ალუხდათ. მესამე დღეს ბევრი ეძებდა დაკარგულ საქონელს სოფელ-სოფელ, მაგრამ სად იპოვიდა.

დიახ, ყოველივე უბედურება ეხლა ატყდება სოფელს, გლეხს და იგი ვერ გამორკვეულა, ანგარიში ვერ მიუცია თავის თავისთვის.

ნიკელი.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ მოათავსოთ თქვენი პატივცემულ გაზეთის უახლოესს ნომერში. ულრმეს მადლობას უცხადებთ რედაქციას ჩვენ ქალაქში მყოფნი მე-12 არტილერიის პარკის ქართველი ჯარისკაცნი გაზეთ „საქართველოს“ მოწოდებისათვის.

ამხანაგების მონდობილობით ილიკო მახხულია.

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

### მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომის | სამგზ. | № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | | № 4, 7 | „ 58 | „ დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | | № 3, . 7 | „ 58 | „ საღ. |

### გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur
des Kriegsgefangenenlagers

აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი..

Liebesgaben für die
russischen Kriegsgefangenen.

აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.

Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა უფასოდ გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse,
№ 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond
Russepour les prisonnier de
guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное
Suisse. Recommandée
Comité International de la
Croix Rouge.
Agence des prisonniers de
guerre Genève.


## თუ გსურთ, მიმართეთ

რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,
რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,
საქმის ქაღალდის დაწერა,
თხოვნების შედგენა,
საქმის და თხოვნის წარმოება,
ცნობების შეკრება,
მოსამსახურის შოვნა,
საკომისიო მინდობილობა,
ბინის გაქირავება,
ბინის შოვნა,
მამულის სყიდვა,
მამულის გასყიდვა,
მამულის დაგირავება,
მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

ცნობის კონტორას
### ი. თ. გვათუასას
თბილისი, ვერის დაღმართი,
სახლი მელიქ აზარიანისა № 1

შუამავლობას ეს კონტორა
გასწევს როგორც ქალაქელთა
ისე ქალაქ გარეშელთათვის.

ყველა საქმეს კონტორა სწრაფლ
და პირნათლად ასრულებს.

ხელმისაწვდენ ფასებში

მისამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верiйск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.

## საუკეთესო კახური
## ღვინის საწყობი
### ადამ ზურაბის ძის
## ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

### საგალანტერიო მაღაზია
## ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
## ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:
ხურდეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

## შეშის საწყობი
### ნიკოლოზ იოს. ბრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასად
## საკუთარი ტყიდან
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

### ქ. ბაქოში
## ღვინით ვაჭრობა
## „მელაანი“
### თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

ღვინის საწყობი
## ნიკო გ. სესიაშვილისა
იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი
## კახური ღვინო
განოვის ქუჩა № 4.
სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.
(185—წ.)

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა ® წიგ. მაღაზია
## „განათლება“-ში
**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“,“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

### თევზის მრეწველნი
## ძმ. მეჯვრიშვილები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაიდოლბის-შვილთ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „ომშოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, ორაგული, ფორეჯი და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.